გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№113 (1008) 19 - 20 ნოემბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

„არც ალასანია დაკითხულა და არც ოქრუაშვილი“

ოქრუაშვილის წინააღმდეგ პირდაპირ საქმე უნდა აღიძრას, თუ არადა, სამართლიანობაზე ლაპარაკი ზედმეტია... მაშინ ალასანია ეროვნული უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელობდა და ემზარს სიტყვა მისცა, კოდორის ხეობაში ჯარს აღვადგენ, არ დავუშვებ რუსული ფორმირების შემოყვანას, აქ მე ვიქნები და კოდორს მივხედავო. თუმცა, ხომ იცით, პოლიტიკა რა უბედურებაა — ერთს ამბობენ, მეორეს აკეთებენ. კოდორში მთავარი მოქმედი პირი ოქრუაშვილი იყო: მან გაუშვა ბატალიონი, მან შეიყვანა ჯარი, მან დააბომბინა ხეობა, მან უბრძანა მფრინავს, კოდორის მშვიდობიანი მოსახლეობა დაებომბა და ჩვენი სახლი გაენადგურებინა, სადაც უნდა დავღუპულიყავით. ეს ბრძანება რომ არ შეასრულა მფრინავმა, ჩასვეს ციხეში და აწამეს...

გვ. 3

ემზარ კვიციანის მომხრეები საპროტესტო აქციით იმუქრებიან!

გვ. 5

რა პროგრამებს დააფინანსებს თბილისის ბიუჯეტი 2015 წლიდან

გვ. 2

სკანდალური ინტერვიუ ნაციონალებიდან „ოცნებაში“ პორტირებულ გოდერძი ბუკიასთან

გვ. 4

„თუ ხელისუფლების მხარდამჭერი არ ხარ, საქმეს ვერ გააკეთებ“

მიყურადების სისტემის ორი ურთიერთმაკონტროლებელი რგოლი

ინტერვიუ ექსპერტ მამუკა არეშიძესთან

კახა კალაძის ანგარიში

გვ. 6

შემცირებული ცარიფი, განათებული რვა სოფელი, შვიდი ახალი ჰესი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ენერგეტიკაში — 2 წლის მუშაობის მთავარი მიღწევები

LIBERTY BANK

გვ. 8

აფხაზეთიდან დევნილი სტუდენტები დააჯილდოვა

შსს-ს ვებგვერდის სპეციალური ხმოვანი ვერსიის პრეზენტაცია გაიმართა

გვ. 6

მამუკა ხაზარაძე — წლის მეწარმე 2014

TBC BANK

გვ. 5

ამერიკელი „მკვლელი ექიმები“ ერაყსა და ავღანეთში

რამდენი ადამიანი შეეწირა უკანონო სამედიცინო ექსპერიმენტებს და დაეკისრება თუ არა პასუხისმგებლობა ვაშინგტონს

გვ. 9

როგორ მოკლა „კანონიერი ქურდის“ მკვლელი პატიმარმა

ზონიდან პატიმრები ევროპაში ავტორიტეტებს ციხის ადმინისტრაციის თანდასწრებით ურეკავდნენ

გვ. 7

მიყურადების სისტემის ორი ურთიერთმაკონტროლებელი რგოლი

ინტერვიუ ექსპერტ მამუკა არეშიძესთან

გიორგი იაშვილი

ფარული ოპერატიულ-საგამოძიებო მოსმენების წვდომის მექანიზმებზე საუბარი, როგორც ყველგან, საქართველოშიც მიდის ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის ჭიდილამდე — ერთი მხრივ, არ უნდა დაირღვეს მოქალაქის უფლებები, მეორე მხრივ, არ უნდა დაზარალდეს სხვა მოქალაქეთა უფლებები და სახელმწიფო. რა კურსი უნდა აირჩიოს კავკასიის რთულ რეგიონში მყოფმა ქვეყანამ, რომელმაც ამასთანავე ახლახან დააღწია თავი ტოტალური მოსმენების გამტარებელ რეჟიმს? — ამ მნიშვნელოვან საკითხზე „ვერსიას“ ექსპერტი მამუკა არეშიძე ესაუბრება.

— წინა ხელისუფლებამ ქვეყანაში ვითარების შესწავლის, ინფორმაციის მოპოვების ყველაზე ცინიკური და ღირსებისშემლახავი ფორმა აირჩია — სატელეფონო საუბრების ტოტალური მოსმენა. ნაციონალური მოძრაობა ამას დემონსტრაციულად აკეთებდა, რათა საზოგადოება მუდმივ შიშში ჰყოლოდა. დღეს, აშკარაა, რომ ნაციონალური მოძრაობა და მასთან ასოცირებული ზოგიერთი ორგანიზაცია ამ თემით სპეკულირებს ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ. დღევანდელი ხელისუფლება დილემის წინაშე აღმოჩნდა; ერთი მხრივ, ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პრინციპი საზოგადოებასთან ასეთ მიდგომას გამორიცხავს, მეორე მხრივ — ქვეყნის რთული გეოპოლიტიკური მდგომარეობა და აქედან გამომდინარე, უსაფრთხოების საკითხები მიყურადების გარკვეული ფორმის არსებობასა და მის კანონიერ ჩარჩოში მოქცევას გულისხმობს. საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებების დაცვა მიყურადებას გამორიცხავს, მაგრამ ითვალისწინებს უსაფრთხოების ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც ამ უფლებების განხორციელებისთვისაა საჭირო.

— ოპერატიული მოსმენების ცივილიზებული ფორმით განხორციელებისთვის არსებობს ე.წ. ორგასაღებიანი სისტემებიც. მაგალითად რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია და ზოგიერთი ოპოზიციური ძალა ითხოვს მოსმენის უფლების (გასაღების) მიცემას საკომუნიკაციო პროვაიდერებისთვის. თქვენი აზრით, რომელი სისტემა უნდა ავირჩიოთ?

— ჩემთვის, როგორც არაპროფესიონალისთვის, რთულია, ხელისუფლებას მიყურადების ტექნიკური ვარიანტები ვურჩიო, მაგრამ ერთი რამ ნათელია — ისეთი სისტემის შექმნაა საჭირო, როცა იარსებებს მიყურადების სისტემის სულ მცირე, ორი ურთიერთმაკონტროლებელი რგოლი. ერთ-ერთი ამ რგოლებიდან უნდა იყოს აუცილებლად უსაფრთხოების სამსახური, ხოლო მეორე რგოლის, ასე ვთქვათ, შინაარსი, უნდა გადაწყდეს საზოგადოებასთან კონსენსუსის შედეგად. ვფიქრობ, ისეთი ფაქიზი საკითხი, როგორიცაა ხალხის უსაფრთხოება, არ შეიძლება, ჩაბარდეს ბიზნესსტრუქტურებს, ვგულისხმობ პროვაიდერებს. როგორც ვიცი, მცირე გამონაკლისის გარდა, თითქმის ყველა უცხოური წარმომავლობისაა, რაც თავისთავად, სავარაუდო საფრთხის გაზრდაზე მიგვანიშნებს.

— ანუ, შესაძლოა, გარეძალებს, მაგალითად არაკეთილმოსურნე მეზობლების სპეცსამსახურებს მიეცეთ მოსმენების საშუალება?

— საიდუმლო არავისთვისაა, რომ მეზობელი და არა მხოლოდ მეზობელი სახელმწიფოების სპეცსამსახურები უაღრესად არიან დაინტერესებულნი საქართველოში მიმდინარე პროცესებით. ინფორმაციის გარკვეულ ნაწილს ისინი სხვადასხვა წყაროდან იღებენ. მათ შორის ვერ გამოვრიცხავთ მიყურადების სისტემასაც. სხვათა შორის, 2008 წლის ომის დროს, ასეთი ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით, ამიტომ საჭიროა, მიყურადების სისტემას მთლიანად ქართული მხარე აკონტროლებდეს. წინა ხელისუფლებამ მიყურადებისთვის უცხოეთიდან მაღალტექნოლოგიური, ძვირადღირებული აპარატურა შემოიტანა. ჩანს, მათი ამოცანა იყო, არა ქვეყნის საფრთხეებისგან დაცვა, არამედ მოსახლეობის მოსმენა. დღევანდელ ხელისუფლებას თავისუფლად შეუძლია შეიძინოს მაღალტექნოლოგიური აპარატურა, რომელიც ერთგვარი ფარის ფუნქციას შეასრულებს, აამაღლებს ქვეყნის უსაფრთხოებას. როგორც ვიცი, ეს ტექნიკურად შესაძლებელია. მთავარია, იყოს სურვილი. ზოგადად, უნდა ითქვას, რომ ამ რთულ საკითხს, რასაც მიყურადება ჰქვია, სჭირდება სერიოზული მუშაობა, გამართული საკანონმდებლო ბაზა და საზოგადოებრივი კონსენსუსი.

კორუფციის რისკების მიხედვით საქართველო 197 ქვეყანას შორის მე-11 ადგილზეა

TRACE INTERMEDIARY MEMBER

კორუფციის რისკების ინდექსი Trace International-მა RAND Corporation-თან თანამშრომლობით შეიმუშავა.

Trace-ს მატრიცა რისკების შეფასების პირველი გლობალური ინსტრუმენტია, რომელიც საშუალებას აძლევს ბიზნესს, ქვეყანაში არსებული კორუფციული რისკები შეაფასოს.

საქართველო რეიტინგში უკან იტოვებს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა: ნორვეგია (მე-12 ადგილი), ჰოლანდია (მე-13 ადგილი), საფრანგეთი (მე-14), შვეიცარია (მე-16), დიდი ბრიტანეთი (მე-19), ავსტრია (მე-20).

კვლევის მასშტაბიდან გამომდინარე, საქართველოს რეიტინგი უპრეცედენტოა: კვლევა 197 ქვეყანას მოიცავს მაშინ, როდესაც, შედარებისთვის, მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების სიმარტივე“ 189 ქვეყანას ფარავს.

ინდექსის მიხედვით, კორუფციული რისკების შეფასება ეფუძნება შემდეგ ოთხ სფეროს: ბიზნესის ურთიერთობა მთავრობასთან, რაც გულისხმობს რეგულაციების სიმარტივესა და ქრთამის გადახდის მოლოდინს ბიზნესსექტორში; ანტიკორუფციული კანონებსა და მათ აღსრულებას; სახელმწიფო სერვისების გამჭვირვალობას; სამოქალაქო საზოგადოების მონიტორინგის შესაძლებლობას, რაც მოიცავს მედიის თავისუფლებასა და სოციალური განვითარების დონეს.

ინდექსის წყაროა სხვადასხვა საერთაშორისო რეიტინგისა და კვლევის მონაცემები, მათ შორისაა მსოფლიო ბანკის, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის, მსოფლიოს მართლმსაჯულების პროექტის, გაერო-ს განვითარების პროგრამის, Freedom House-ს, ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრების გარეშე“, ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის, Global Integrity-სა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემები, რომლებიც 100-ქულიან სკალაზე ითვლება. რაც უფრო მაღალია მაჩვენებელი, მით მაღალია კორუფციული რისკები ბიზნესისთვის ქვეყანაში. ინდექსის განახლება 2 წელიწადში ერთხელ იგეგმება. მომდევნო კვლევის შედეგები 2016 წელს გამოქვეყნდება.

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, რომელიც, ამავე დროს, ანტიკორუფციული საბჭოს ხელმძღვანელიცაა, იმედოვნებს, რომ 2016 წლისთვის საქართველო შედეგს გააუმჯობესებს და პირველ ათეულში შევა.

„პირველი“

უნდა მოიხადონ თუ არა ქუდი დეპუტატებმა ჰიმნის მოსმენისას, ვინ გააკონტროლებს ჟურნალისტების ჩაცმის სტილს და დატანილია თუ არა ახალ ID ბარათებში ეშმაკის ბეჭედი

ნინო კომახიძე
599-95-33-16

18 ნოემბერს დეპუტატები ქვეყნისთვის საჭირბოროტო ისეთ საკითხებზე მსჯელობდნენ, როგორიცაა: უნდა მოიხადონ თუ არა მამაკაცებმა ქუდი საქართველოს ჰიმნის გაჟღერებისას, როგორ უნდა ეცვათ პარლამენტში აკრედიტებულ ჟურნალისტებს, დატანილია თუ არა ახალ ID ბარათებში ეშმაკის ბეჭედი. ე.წ. ჩიპზე და მისი მეშვეობით მსოფლიოს ტოტალური მართვის საფრთხეებზე საუბარში იურიდიულმა კომიტეტმა, სულ ცოტა, 3 საათი დახარჯა.

ვიდრე კომიტეტი „ბეჭდების მბრძანებლის“ საძმოს დაემსგავსებოდა, პარლამენტში განათლებისა და კულტურის სხდომაც გაიმართა, სადაც სადავო კანონი მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ახალი სქემის შესახებ, მესამე მოსმენით განიხილეს. ეს სისტემა ოთხსაფეხურიანია ანუ მასწავლებელს, აქტივობისა და დამსახურების მიხედვით, საფეხურის შესაბამისი სტატუსი მიენიჭება და ეს შესაბამისი სახელმწიფო სერტიფიკატითაც დაუდასტურდება. გაირკვა ისიც, რომ კანონს, გარდამავალ დებულებად დაემატება მუხლი, რომლითაც ახალ სქემაზე გადასვლის ტექნიკური საკითხები დარეგულირდება.

მხიარულება მას მერე დაიწყო, რაც დეპუტატები გიორგი კახიანის საკანონმდებლო ინიციატივაზე ვერ შეთანხმდნენ — უნდა მოვიხადოთ თუ არა ქუდი სახელმწიფო ჰიმნის მოსმენისას?! კომიტეტის წევრები კანონის პლენარულ სხდომაზე გატანაზე კი შეთანხმდნენ, მაგრამ ფორმები ბოლომდე ვერ გაარკვიეს. პრეზიდენტის ბრძანებულების გათვალისწინებით, ჰიმნის შესრულებისას, სავალდებულოა ფეხზე ადგომა, ხოლო მამაკაცებისთვის – ქუდის მოხდა, გარდა სამხედრო პირებისა და იმ შემთხვევებისა, როდესაც ქუდის მოხდა არ შეიძლება. პარლამენტის დადგენილებით, მამაკაცებისთვის ქუდის მოხდის სავალდებულო წესი უქმდება. კახიანის არგუმენტი ასეთი იყო — ეს დრომოჭმული მიდგომაა. მას მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ — თუ ასეა, ქუდს ეკლესიასა და პანაშვიდზეც ვიხდით, მაგრამ ეს კანონში არ წერიაო. კახიანს განსაკუთრებულ ოპონირებას რეჟისორი ალექსანდრე ქანთარია და მსახიობი გია ჯაფარიძე უწევდნენ. ეს უკანასკნელი კი, ჩაცმა-დახურვის საკითხებზე საუბრისას ისეთ აზარტში შევიდა, წკეპლა ჟურნალისტებსაც გადმოგვკრა — თურმე, ისეთი ახალი თაობა მოდის, რომელმაც არ იცის, სად რა ჩაიცვას! **„ამას წინ, აქ შემოვიდა ვიღაც და უკაცრავად, „ტელნიაკით“ იჯდა. შეიძლება, კომიტეტის სხდომაზე კორესპონდენტი „მაიკით“ იჯდეს? არ შეიძლება. ამას უნდა თავისი კანონი და წესი. ყველაფრის თავის ჭკუაზე მიშვება არ შეიძლება!** — თქვა ჯინსსა და ფუმფულა, ნაქსოვ სვიტერში გამოწყობილმა დეპუტატმა და გრძელ წვერ-ულვაშზე ხელი დაისვა! პანაშვიდზე ქუდის მოხდისა არ იყოს, ჩვენს ქცევას, სხვადასხვა დროსა და ადგილას, კონსტიტუცია კი არა, შინაგანი კულტურა განსაზღვრავს, თუმცა ორი რამ მაინც აღსანიშნავია: დეპუტატებს კანონშიც უწერიათ და შიდაგანაწესშიც, რომ ერთმანეთის რტყმა და გინება ეკრძალებათ, მაგრამ წესებს ვინ იცავს? და მეორე — დეპუტატებისგან, მათ შორის, გია ჯაფარიძისგან განსხვავებით, პარლამენტის რეგლამენტი დრესკოდს მედიის წარმომადგენლებს არ უწესებს.

შემდეგ საკითხზე მსჯელობისას, მიხეილ (გელა) სალუაშვილი პარლამენტში არასამთავრობოების წარმომადგენლებსა და თანაპარტიელებთან ერთად მივიდა და კომიტეტს გამოუცხადა, 100 000 მორწმუნის ხელმოწერა მაქვს, რომლებიც ID-ის ალტერნატივის არსებობას მოითხოვენო. მიუხედავად იმისა, რომ სხდომაზე საპატრიარქოს დამამშვიდებელი განცხადება წაიკითხეს, ამ ახალ ბარათებზე დატანილ ჩიპში ანტიქრისტეს ბეჭედი არაა ჩადებულიო, სალუაშვილმა ევროპული სახელმწიფოების პრაქტიკა მოიშველია და განაცხადა, რომ ჩიპს აუარება ინფორმაციის დატევა შეუძლია, რაც ადამიანთა მოდგმის ტოტალურ მართვას ხდის შესაძლებელს. სალუაშვილი, მხლებლებითურთ, ალტერნატიული ბარათების დაშვებას მოითხოვდა. საქმე იქამდე მივიდა, დეპუტატებმა ხუმრობით ჰკითხეს, ამ ჩიპზე ასე აცრილი რატომ ხართ, რისი გეშინიათო. სალუაშვილმა განმარტა, ჩიპზე უამრავი მონაცემის ჩაწერა შეიძლება და ამ ახალი ბარათის გარეშე ხალხი ბოლოს ვეღარც იმუშავებს, ვერც ქვეყნიდან გავა, რაც სწორედ მეორედ მოსვლის ნიშანიაო.

ექსპერტი ლევან ჩაჩუა 10 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს

საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება საქმის არსებითი განხილვის შემდეგ მიიღო.

საქალაქო სასამართლოში პროცესზე ბრალდების მხარის მოწმეები დაიკითხნენ, მათ შორის ზურაბ ჟვანიას მეუღლე ნინო ქადაგიძე, რომელმაც განაცხადა, რომ ექსპრემიერის ცხედარს სრულყოფილი ექსპერტიზა არ ჩაუტარდა.

ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილების ყოფილი გამგე ლევან ჩაჩუა საქართველოს მთავარმა პროკურატურამ სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე, 2014 წლის 20 მარტს დააკავა.

პროკურატურის ვერსიით, 2005 წლის 3 თებერვალს ლევან ჩაჩუამ ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის გარდაცვალების საქმეზე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების მიზნით გვამების გამოკვლევისას გულგრილობა გამოიჩინა.

„პირველი“

ემზარ კვიციანის მომხრეები საპროტესტო აქციით იმუქრებიან!

„სასამართლომ განაჩენი ბესელიას, ვოლსკის, ფოფხაძეს, ჯაჭვლიანს, ჯაფარიძესა და იმ დეპუტატებსაც გამოუტანა, ვინც ემზარს თავდებში ჩაუდგა“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

17 ნოემბერს ზუგდიდის სასამართლომ ემზარ კვიციანს განაჩენი გამოუტანა და 12-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ამ დროისთვის, რამდენიმე ადამიანი გმირთა მოედანზე, დაღუპული გმირების მემორიალთან უკვე შიმშილობს. ხუთშაბათს, 20 ნოემბერს კი დიდი აქციაა დაანონსებული, რომელსაც ის 40-მდე გენერალი გეგმავს, ვინც კვიციანს თავდებში ჩაუდგა. „ვერსიამ“ სასამართლო პროცესისა და ემზარ კვიციანის დასკვნითი ჩვენებების დეტალებზე ყოფილი პოლიტპატიმარი და ემზარ კვიციანის და, ნორა კვიციანი ჩაწერა, რომელიც რამდენიმე ექსმაღალჩინოსანს მძიმე ბრალდებებს უყენებს.

— სასამართლოს გადაწყვეტილება ჩემთვის მეხის გავარდნასავით იყო. ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება, ამდენმა დამნაშავემ 3-4-წლიანი სასჯელი მიიღოს და ჩემს ძმას 12 წელი მიუსაჯონ იმის მიუხედავად, რომ არცერთ კონკრეტულ მუხლში მისი დანაშაული არ გამოკვეთილა და არც დაზარალებული ჰყავს. სიტყვიერი მოწოდების გამო მას 12 წელი შეეფარდა, ამიტომ ვაცხადებ — ეს მარტო ემზარ კვიციანის კი არა, მთელი ერის, ყველა იმ ადამიანის განაჩენია, ვისაც ქართული პასპორტი აქვს! ჩემი ძმა სამშობლოს დაცვისა და სიყვარულისთვის დაისაჯა. რა ხდება, 2006 წლიდან დღემდე ჩვენს ტანჯვა-წამებას წერტილი რატომ არ დაესვა?! ჩემს ძმას ჯერ ძებნილს ეძახდნენ, მერე ჩამოვიდა, საზღვარზე ისე შემოუშვეს, ვითომც არაფერი და მოტყუებით აიყვანეს კოდორში. ჩემს სიმართლეს მაინც დავამტკიცებ!

— იმის მიუხედავად, რომ 2 წელია ხელისუფლება შეიცვალა, განცხადება გააკეთეთ, ისევ ნაციონალური მოძრაობა გვდევნისო — ვინ და როგორ?

— ჩემი ძმა საქართველოში ნებით ჩამოვიდა, რადგან ახალი ხელისუფლების იმედი ჰქონდა, ჩემს სიმართლეს დავამტკიცებო. მას არანაირი გარანტიები არ მოუთხოვია — სიმართლეზე მეტი გარანტია არ არსებობს. ამ დროს, ადამიანს ბრალს ვერ უმტკიცებ და 12 წელს ისე აძლევ, რას ნიშნავს ეს, თუ არა იმას, რომ სასამართლო და პროკურატურა ისევ ნაციონალური მოძრაობის ხელშია? ასეთი რამ ისტორიას არ ახსოვს — ჩემს ძმას თავდებში 34 დეპუტატი და 37 გენერალი ჩაუდგა და ემზარის ბედი ერთმა კაცმა როგორ გადაწყვიტა ისე, რომ არაფერი გაუთვალისწინებია?! ასობით კაცია დაკითხული, ყველა სოფელში გამომძიებელი იჯდა, ყველა ეპიზოდი დეტალურადაა შესწავლილი, მაგრამ 2006 წლის მერე ახალი არც თქმულა და არც გარკვეულა. ჩემს ძმას განაჩენი 2006 წელს დაწყებული გამოძიებით, ბრალდებებითა და ნაციონალების მიერ შეთითხნილი საქმის მასალებით გამოუტანეს! არ ვიცი, ან ჩვენ რატომ გვაწვალეს ამდენ ხანს, ან მოწმეები და თბილისიდან ზუგდიდში რისთვის გვარბენინეს, ეს ხომ ამ ხალხის შეურაცხყოფაა. დღეს ყველას განაჩენი გამოუტანეს! ის 34 დეპუტატიც გასამართლდა, ვინც ემზარს ნდობა გამოუცხადა: ბესელია, ვოლსკი, ფოფხაძე, ჯაჭვლიანი, სანიკიძე, ჯაფარიძე...

— მერე, ამდენი დეპუტატი რომ გიჭერთ მხარს და საპარლამენტო კომისიის შექმნას ითხოვთ საქმის გადასახედად, უმრავლესობისგან რა პასუხი მიიღეთ?

— ეკა ბესელიამ და გედევან ფოფხაძემ განცხადებები გააკეთეს. საქმე მათ კომისიაშიც იყო შეტანილი, თქვეს, პოლიტიკური ნიშნები იკვეთებაო და დასკვნა პროკურატურას გადაუგზავნეს, მაგრამ არც მათი აზრი გაუთვალისწინებიათ. არ ვიცი, რამდენად მართალია, მაგრამ ბესელიას უთქვამს, ემზარ კვიციანის უპირობოდ გათავისუფლებას ვითხოვო; განცხადება გაუკეთებია ნინო ბურჯანაძესაც... ჩემმა ძმამ სასამართლოზე თქვა, ჩემს თავს ფიცი მივეცი, რომ არ გავჩერდებოდი, რადგან ვიცოდი, ხეობას აბარებდნენო. ეს ყველაფერი დაგეგმილი იყო — მას სპეციალურად შეუგდეს ინფორმაცია ხეობის ჩაბარების, სხვადასხვა მოსალოდნელი პროვოკაციების შესახებ, რადგან იცოდნენ, ემზარი ამას არ შეეგუებოდა. თავად ხელისუფლება ელაპარაკებოდა რუსებს და არა ემზარი, რადგან იცოდნენ, არ გაჩერდებოდა. ბოლოს შეუთვალეს, ჩამოდი, დაგველაპარაკე კოდორის ამბებზე თუ არადა ხეობას ვაბარებთო. ამიტომ ჩამოვიდა ემზარი, ამიტომ გამოატარეს საზღვარზე და კოდორში, მანქანაში მოტყუებით ჩააგდეს. ეს ამბავი არც ვიცოდი, როცა ემზარმა სასამართლოზე მოყვა, მაშინ გავიგე და გული ცუდად გამიხდა.

— კონკრეტული გვარების დასახელება შეგიძლიათ?

— ჟურნალისტი რომაა, ნანა ლეჟავა, რომელიც 2006 წელს სიუჟეტებს ამზადებდა კოდორის ხეობაზე, მას მიაწერდნენ ემზარზე ჩვენების მიცემას, ჩასაფრებული იყო და საომრად ემზადებოდაო, მაგრამ სასამართლოზე ლეჟავამ განაცხადა, მსგავსი არაფერი მითქვამსო. მოსამართლემ არც ეს ჩათვალა რამედ. ნინო ბურჯანაძე ჩვენებაში ამბობს, კოდორში შესვლა მინდოდა და პრეზიდენტს ვეუბნებოდი, არც დაცვა მჭირდება, არაფერი, ისე შევალ ხეობაშიო. იქ რომ რამე საფრთხე ყოფილიყო, ამას ხომ არ იტყოდა, მაგრამ, რადგან ხეობაში ყოფნა უსაფრთხო იყო, მაშინ რატომ შეიყვანა ჯარი ხელისუფლებამ?

— ირაკლი ალასანია თუ დაიკითხა და რამდენად რეალურია, რომ მან ჩააბარა კოდორის ხეობა, რისთვისაც ელჩად გაუშვეს გაერო-ში. საინტერესოა, ირაკლი ოქრუაშვილის, ამ ამბის მთავარი გმირის ბედიც, რომელიც ისე ჩამოვიდა და ისე წავიდა საქართველოდან, მისთვის კოდორის ხეობაზე პროკურატურასა და სასამართლოს არაფერი უკითხავს?!

> **— არც ირაკლი ალასანია დაკითხულა და არც ირაკლი ოქრუაშვილი. ოქრუაშვილი კი დასაკითხთა სიაში პირველი უნდა ყოფილიყო. მის მიმართ ძალიან ბევრი კითხვა არსებობს. ოქრუაშვილის წინააღმდეგ პირდაპირ საქმე უნდა აღიძრას თუ არადა, სამართლიანობაზე ლაპარაკი ზედმეტია.**

მოწმის სახით დაიკითხა მაშინდელი გენშტაბის უფროსი ლევან ნიკოლაიშვილი და თავად ამბობდა, რომ ოქრუაშვილი იძლეოდა შესვლისა და ბრძოლის ბრძანებებს. კოდორის ამბები სად დაიგეგმა, ეგეც ითქვა. ეს ისეთი შოკი იყო, ამ ყველაფრის მერე ჩემი ძმა კი არა, ეგენი არიან საცოდავები. ირაკლი ალასანიას რაც შეეხება, არასოდეს მითქვამს, რომ კოდორი ჩააბარა, არც დღეს ვიტყვი. პოლიტიკა არ მაინტერესებს, ამ სიბინძურეში არ ჩავერევი. მაშინ ალასანია ეროვნული უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელობდა და ემზარს სიტყვა მისცა, კოდორის ხეობაში ჯარს აღვადგენ, არ დავუშვებ რუსული ფორმირების შემოყვანას, აქ მე ვიქნები და კოდორს მივხედავო. თუმცა ხომ იცით, პოლიტიკა რა უბედურებაა — ერთს ამბობენ, მეორეს აკეთებენ. კოდორში მთავარი მოქმედი პირი ოქრუაშვილი იყო: მან გაუშვა ბატალიონი, მან შეიყვანა ჯარი, მან დააბომბინა ხეობა, მან უბრძანა მფრინავს, კოდორის მშვიდობიანი მოსახლეობა დაებომბა და ჩვენი სახლი გაენადგურებინა, სადაც უნდა დავღუპულიყავით. ეს ბრძანება რომ არ შეასრულა მფრინავმა, ჩასვეს ციხეში და აწამეს. მანაც მისცა ჩვენება, მაგრამ არ აინტერესებთ რეალობა და ამიტომ მიიღო ემზარმა თავისი გმირობისთვის 12-წლიანი საჩუქარი მაშინ, როცა გაერო გენერლობას ანიჭებდა! მეც სპეციალურად ამიყვანეს მძევლად, ჩემს ძმას და შვილს სისხლი რომ დაეღვარათ და მერე სალაპარაკო ჰქონოდათ, აი, მკვლელები და ტერორისტებიო. მაგრამ, ღმერთის წყალობით, ჩემმა ძმამაც და შვილმაც თავი შეიკავეს და ძალიან გაწონასწორებულად იქცეოდნენ. სასამართლოზე ის ფირებიც აჩვენებს, სადაც ვამბობ, თუ ჩემი ძმა და შვილი არიან დამნაშავეები, ისინი დაიჭირეთ, კოდორელებს ნუ აწიოკებთ, ხეობას თავი დაანებეთ-მეთქი, მაგრამ არც ეს გაითვალისწინეს. ხელისუფლების სისუსტეზე მიუთითებს ის, რომ სასამართლოსა და პროკურატურას ჯერ კიდევ ნაციონალური მოძრაობა აკონტროლებს — თუ არადა რით ავხსნა ეს ყველაფერი?! სპეციალურად გამოუტანეს ჩემს ძმას ეს განაჩენი, რომ ხალხი ქუჩაში გამოვიდეს და ხელისუფლებას დაუპირისპირდეს!

— აქცია უკვე დაანონსებულია, სხვა რა გეგმები გაქვთ?

— აქციის დეტალებზე გენერლებიც აწყობენ შეხვედრას. გმირთა მოედანზე, განაჩენის გამოტანის დღეს დასხდნენ ბიჭები და შიმშილობა დაიწყეს. მე ყოველდღე იქ ვიქნები, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ჩემი შიმშილობა გამორიცხულია, მაგრამ იმ ბიჭების გვერდით, გმირთა მემორიალთან ყოველდღე დავდგები. განაჩენს სააპელაციო სასამართლოშიც გავასაჩივრებ და სასწრაფოდ, საპარლამენტო კომისიის შექმნას ვითხოვ — გადაიხედოს ემზარის საქმე, თორემ მთელ საქართველოს დიდი კითხვისნიშანი დაესმევა!

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის მესაზღვრეები კიკბოქსინგში მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის №4 სამმართველოს (დედოფლისწყარო) მესაზღვრეები ვალერი ვაჭრიძე, არსენ ყარაგვეზაშვილი და ხვიჩა ქოქუაშვილი კიკბოქსინგში მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ.

10-15 ნოემბერს ჩეხეთში, ქალაქ პრაღაში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი კიკბოქსინგში, სადაც საქართველოს ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის ფედერაციის ნაკრები გუნდის სპორტსმენებმა მიიღეს მონაწილეობა. მესაზღვრე სპორტსმენებმა მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებას მიაღწიეს.

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლები სამი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედლის მფლობელები გახდნენ. მსოფლიო ჩემპიონები: ვალერი ვაჭრიძე (57 კგ წონით კატეგორიაში), არსენ ყარაგვეზაშვილი (71 კგ), ხვიჩა ქოქუაშვილი (86 კგ). ვერცხლის მედალოსანი: ლევან წიკლაური (60 კგ), ბრინჯაოს მედალოსანი: დავით ქადაგიძე (75 კგ).

სპორტსმენები დედოფლისწაროში, შსს-ს სასაზღვრო პოლიციის №4 სამმართველოს (დედოფლისწყარო) თანამშრომლის, თამაზ ყარაგვეზაშვილის ხელმძღვანელობით ვარჯიშობენ, ნაკრებ გუნდში რაიონის სხვა სპორტსმენებიც ირიცხებიან, რომლებმაც ასევე ასახელეს საქართველო და მსოფლიო კიკბოქსინგის ფორუმზე ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. ვერცხლის მედალოსნები: გიორგი წიკლაური (63,5 კგ), შალვა ხოსიტაშვილი (67 კგ). ბრინჯაოს მედალოსანი ჭაბუკებში: ნუგზარ ყარაგვეზაშვილი (63,5 კგ).

კიკბოქსინგის მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებულ შსს-ს მესაზღვრეებს და მათ მწვრთნელს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე შეხვდა, რომელმაც სპორტსმენებს მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებული ასპარეზობისთვის მადლობა გადაუხადა, გამარჯვება მიულოცა და დაასაჩუქრა.

„ვერსიანიუსი“

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ოპიუმი ამოიღო

შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და ლაგოდეხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1976 წელს დაბადებული, წარსულში ორჯერ ნასამართლევი ალექსანდრე კ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და გადაზიდვის ბრალდებით თბილისში, გულიას ქუჩაზე, ავტოსადგურში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ორ შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 45,268 გრ ოპიუმია. ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად ალექსანდრე კ-ს ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გადაზიდვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

შსს-მ სამეგრელოში მომხდარი მკვლელობა გახსნა

შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1967 წელს დაბადებული დემნა კ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათში დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ მიმდინარე წლის 17 ნოემბერს დემნა კ-მ სოფელ კახათში, თავის საცხოვრებელ სახლში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, საკუთარ მამას — 1939 წელს დაბადებულ ჯამბულ კ-ს ცივი იარაღით მრავლობითი ჭრილობა მიაყენა. მიღებული ჭრილობების შედეგად ჯამბულ კ. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით). გამოძიებას სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო აწარმოებს.

„ვერსიანიუსი“

სკანდალური ინტერვიუ ნაციონალებიდან „ოცნებაში“ პორტირებულ გოდერძი ბუკიასთან

„თუ ხელისუფლების მხარდამჭერი არ ხარ, საქმეს ვერ გააკეთებ“

ერუსუდან შელია
557-100-768

„დამოუკიდებელი მაჟორიტარები — ძლიერი რეგიონებისთვის“, — ამ სახელწოდებით საგანგებოდ შექმნილი ფრაქცია ცოტა ხნის წინ საპარლამენტო უმრავლესობას შეუერთდა. ფრაქცია პარლამენტში ნაციონალური მოძრაობის ქვოტით გასული მაჟორიტარებითაა დაკომპლექტებული, რომლებიც ხელისუფლების ცვლილებისთანავე, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებად იქცნენ. ახლადშექმნილი ფრაქციის ერთ-ერთი წევრი ხობის რაიონის მაჟორიტარი გოდერძი ბუკიაა, რომელიც „ვერსიასთან“ საპარლამენტო უმრავლესობაში გაწევრიანების მიზეზებს განმარტავს.

— საპარლამენტო უმრავლესობაში გაწევრიანებით „ქართული ოცნება“ კი არა, სახელმწიფო ინტერესები გადავარჩინეთ. სტაბილურობისთვის ქვეყანაში საპარლამენტო უმრავლესობის არსებობა აუცილებელია.

— **ანუ ფიქრობთ, მაშველი რგოლი გახდით?**

— არა, ქვეყნის ინტერესებს გადარჩენა არ სჭირდებოდა, მაგრამ საპარლამენტო უმრავლესობა ჩვენი გაერთიანებით გავამყარეთ. „ქართულ ოცნებას“ მხარს ადრეც ვუჭერდი, დღეს ამ მხარდაჭერამ ოფიციალური სახე მიიღო.

— **თუ „ქართულ ოცნებას“ მხარს ადრეც უჭერდით, რატომ იყარეთ კენჭი ნაციონალური მოძრაობის სახელით?**

— მე და ფრაქციის სხვა წევრები, ბიზნესიდან წამოსული და საქმის მკეთებელი ხალხი ვართ. პოლიტიკომანები არასოდეს ვყოფილვართ, არც ნაციონალური მოძრაობის დროს. ოთხგზის დეპუტატი ვარ, რაც ნიშნავს, რომ წლებია ამომრჩეველი მენდობა. პირდაპირი წესით არჩეული დეპუტატები სერიოზულ ძალას წარმოვადგენთ და ზუსტად ვიცით, სად ვიდგეთ. ქვეყანაში რყევებისა და დროშის ფრიალის მომხრე არასოდეს ვიქნები. ოპოზიციაში ყოფნა ადვილია — შენთვის ხარ, ხელისუფლებას აკრიტიკებ. მხოლოდ დეპუტატის სტატუსის შენარჩუნება რომ მდომებოდა, ჩემ ამომრჩეველსაც ვეტყოდი, რა ვქნა, ხომ ხედავთ, ვლანძღავ ხელისუფლებას-მეთქი, მაგრამ ამით ამომრჩეველი რას მიიღებს? დღეს ხობში სამი ახალი საწარმო შენდება, რომლის მსგავსი საქართველოში არასოდეს ყოფილა. ოპოზიციაში რომ ვიყო, საწარმოს ვინ ააშენებს?

— **საწარმოს ხობში თქვენ აშენებთ?**

— საწარმოს აშენებენ სტრუქტურები, რომლებიც ხობში ჩემი ინიციატივით მოვიდნენ. თუ მაჟორიტარი ავტორიტეტი არ არის, რაიონის ინტერესებს არავინ გაითვალისწინებს. ოპოზიციაში მყოფი მაჟორიტარი საქმის კეთებით დაინტერესებული არ არის.

— **პარლამენტში რამდენიმე მაჟორიტარი დღესაც ოპოზიციაშია და თქვენ ამბობთ, ამის გამო ხელისუფლება კონკრეტულ რაიონებში თუნდაც საწარმოების აშენებაზე უარს ამბობს?**

— თუ ხელისუფლების მხარდამჭერი არ ხარ, საქმის გაკეთება არ გამოვა. როგორ უნდა გაკეთდეს საქმე, თუ ხელისუფლების პოზიციებზე არ ხარ. მე „ბუტკის“ ამშენებელი არ ვარ, დიდ საქმეებს ვაკეთებ, რომელსაც სერიოზული პოლიტიკური ნება სჭირდება. ყველა ქვეყანაში ასე ხდება და ეს ბიზნესზე ზეწოლა არ არის. როგორც კი საპარლამენტო არჩევნები დამთავრდა, ხელისუფლებას დავუჭირე მხარი, ოპოზიციაში ვერ დავრჩებოდი. ბევრი ამოცანა მაქვს, რაც საქართველოში ბოლომდე უნდა მივიყვანო.

— **ანუ აღიარებთ, რომ პირადი ინტერესებისთვის ხართ უკვე მეოთხედ უმრავლესობის რიგებში?**

— ხელისუფლებას ვჭირდები მე და მეც მჭირდება ხელისუფლება. არავისთვის არაფერი მითხოვია, ყოველთვის ისინი მოდიოდნენ ჩემთან.

— **ვინ მოვიდა ამჯერად თქვენთან უმრავლესობაში გადასვლის თხოვნით?**

— უპარტიო დეპუტატი ვარ. თავის დროზე, ნაციონალებმა შემომთავაზეს მათი ქვოტით კენჭისყრა, რასაც, ბუნებრივია, დავთანხმდი — თუ მიაჩნდათ, რომ რაიონში ლიდერი ვიყავი, უარი რატომ უნდა მეთქვა? დღესაც ნებისმიერ კანდიდატს მოვუგებ არჩევნებს. ზოგი ფიქრობს, ამას ჩემი ფინანსური შესაძლებლობებით ვაკეთებ. ამომრჩევლისთვის ფული არასოდეს შემითავაზებია, მაგრამ მათთან წლების განმავლობაში ვმუშაობ, კარგად ვიცი, რა ულხინთ და უჭირთ. ყოველთვის ხობელების გვერდით ვარ. ჩემი რაიონისთვის ყველაფერი გამიკეთებია, კაბინეტები ამიტალახებია და ამის გამო ბევრი პატივს მცემს. ასე კეთდება საქმე, მე პოლიტიკანობისთვის არასოდეს მეცალა.

— **დეპუტატობა უკვე პოლიტიკის ნაწილია, ბატონო გოდერძი.**

— კი, მაგრამ, მე კონსტრუქციული პოლიტიკოსი ვარ.

— **სამაგიეროდ, კარგ ბიზნესგათვლას აკეთებთ — კომპარტიის რიგები მაშინ დატოვეთ, როცა ეროვნული მოძრაობის ნიშნები გაჩნდა, ნაციონალებსაც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ დაემშვიდობეთ. „ქართული ოცნებისთვის“ რამდენად სანდო პარტნიორი ხართ?**

— ჩემი ადგილი ყოველთვის იქნება იქ, სადაც ხალხის ინტერესებს დავიცავ. არავისთვის მიღალატია, არც ნაციონალებისთვის. კი ბატონო, ნაციონალების სახელით მე მოვიგე, მაგრამ წაგებული ჩემით არც ნაციონალური მოძრაობა დარჩენილა. რომელ ღალატზეა საუბარი, როცა ჩემი რაიონიდან მიღებული ხმებით ბევრი ნაციონალი პარლამენტში შევიდა? კარგად დაითვალონ! იმის გამო, რომ ხობში ვიყავი, საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალურმა მოძრაობამ საკმაოდ დიდი მხარდაჭერა მიიღო. ერთი რამ დაინახეთ და ხიდან ჩამოდით ყველანი!

— **ვინ ჩამოვიდეს ხიდან ან რას გულისხმობთ ხიდან ჩამოსვლაში?**

— მსოფლიოში არ არსებობს ანალოგი, დროშის მოფრიალე ადამიანი პოლიტიკოსი გახდეს, საქართველოში კი, ასეთი ადამიანები დეპუტატები ხდებიან. ხელისუფლებაში უნდა მოვიდეს ის, ვისაც საქმე უკეთებია და საკუთარი კაპიტალიც საკმარისად დააგროვა. მხოლოდ საქართველოში მოდიან ხელისუფლებაში გაღლეტილი პოლიტიკოსები. ადამიანმა, რომელმაც საკუთარ თავს ვერ უშველა, სხვას როგორ უნდა უშველოს? ცურვა თუ არ იცი, სხვას ცურვას ვერ ასწავლი.

ადამიანს ერთი „ბუტკაც“ რომ არ შეუნახია, სხვას რა მიმართულება უნდა მისცეს? დღეს ჩვენ მოვდივართ და გაისად მეტნი ვიქნებით. ღარიბი პოლიტიკოსი ხელისუფლებაში არ უნდა მოვიდეს.

— **მდიდარი ბიზნესმენები მოდიხართ ხელისუფლებაში?**

— აბა, როგორ? გაღლეტილი პოლიტიკოსისთვის მხოლოდ გრძელი ენა საკმარისი არ არის. წავიდა ეს დრო. რა თქმა უნდა, ხელისუფლებაში ბიზნესმენები უნდა მოვიდნენ. ყაზახეთი, იცით, როგორ განვითარდა? ნაზარბაევმა ბიზნესმენებს დაუძახა, ქვეყანას სჭირდებით, ნებისმიერი თანამდებობა აირჩიეთ და გვერდით დამიდექითო. ამ ნაბიჯით ქვეყანამ სერიოზული შემოსავლები მიიღო. ბიზნესმენები საკუთარ საქმეს დაუბრუნდნენ, მაგრამ ქვეყნის განვითარებისთვის საფუძველი ჩაიყარა.

— **ბატონო გოდერძი, მაღალი თანამდებობის მიღება ხომ არ გინდათ?**

— არა...

— **ისე, ქვეყანას საკმაოდ წარმატებული ბიზნესმენი ჰყავდა პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე, მაგრამ ამით რა შეიცვალა?**

— ბევრი რამ... ხობში სამი ქარხანა შენდება-მეთქი რომ გითხარით, ეს სხვა პირობებში ვერ გაკეთდებოდა. დღეს ქვეყანაში ფინანსების მოსაზიდად საუკეთესო პირობებია, 1%-იანი სესხი, საქართველოს გარდა, არსად გაიცემა, მაგრამ ეს სიკეთე ხალხმაც რომ იგრძნოს, მეტი დროა საჭირო. ინვესტიციის განხორციელება ხელში ფულის აღებას არ ნიშნავს. ახლა დიდი პროექტის შესრულება რომ დავიწყე, ყველას ჰგონია, 105 მილიონი უკვე ჯიბეში მაქვს და შემიძლია ადამიანებს ჩამოვურიგო. ჩვენ დარიგებას დავეჩვიეთ. სამწუხაროდ, ფულს მეც მუდმივად ვარიგებ, რადგან ხალხს უჭირს. ამ ბოლო დროს ვცდილობ, ნაკლები დავურიგო — ადამიანები მუშაობას უნდა მიეჩვიონ. სხვაგვარად არ გამოვა.

— **ოთხი მოწვევის დეპუტატი როგორ ახერხებთ დღემდე მოსახლეობის ფინანსურ დახმარებას და 105-მილიონიანი ინვესტიციების მოზიდვას?**

— რომ იცოდეთ, მე საქართველოში არ მაქვს ბიზნესი... ცოტა მაქვს აქ. ბიზნესი იმ ქვეყანაში მაქვს, სადაც საჭიროა.

— **სად, რუსეთში?**

— იქ, სადაც საჭიროა... რატომ გაინტერესებთ?

— **ის უფრო საინტერესოა, თუ იცით, კანონმდებლობით ბიზნესის მართვის უფლება რომ არ გაქვთ?**

— მე არცერთი ფირმის დირექტორი არ ვარ, ჭკუით და გონებით ვმუშაობ. მართვით ყველაფრის მართვა შეიძლება, მაგრამ კანონს არსად ვარღვევ.

— **9 წლის განმავლობაში თქვენთან ასოცირებული ბიზნესების დაცვა როგორ მოახერხეთ?**

— ერთი ობიექტი წამართვეს, მაგრამ ახლა დავიბრუნე. თვითონ ობიექტს ვერ დაგისახელებთ, მაგრამ „ქართულმა ოცნებამ“ დამიბრუნა.

— **ხელისუფლებას საზოგადოება, ძირითადად, იმის გამო აკრიტიკებს, რომ სამართლიანობის აღდგენა დღემდე ვერ მოხერხდა, ბიზნესმენებს წართმეული ქონება არ დაბრუნებია და თქვენ ეს როგორ დაიმსახურეთ?**

— სამთავრობო სტრუქტურების დახმარებით.

— **ამიტომ იგრძენით თავი ვალდებულად, მხარი დაგეჭირათ საპარლამენტო უმრავლესობისთვის? კიდევ ერთხელ ადასტურებთ, რომ დამოუკიდებელი მაჟორიტარები ხელისუფლებასთან მეგობრობას საკუთარი ბიზნესის ლობირებისთვის იყენებთ.**

— არა, ვიწროდ ნუ აზროვნებთ, ვალდებული არავისთან ვარ. რაც შეეხება მეგობრობას, ყველასთან ვმეგობრობ. ძველთანაც და ახალთანაც. მეგობრობა ყოველთვის სჯობს, ეს ყველამ იცოდეს. ასე უნდა იყოს საგარეო პოლიტიკაშიც. რუსეთს უნდა ვაგინოთ, რომ აფხაზეთი წავართვათო — ეს რა ლოგიკაა?

— **რუსეთი ახსენეთ, სადაც თავის დროზე საქართველოს ელჩი იყავით. როგორც დიპლომატი, ფიქრობთ, აფხაზეთის ანექსიის გამო რუსეთი უნდა ვაქოთ?**

— ჩვენ დღეს ამ გარემოში ვცხოვრობთ და სხვაგან ვერ გადავსახლდებით. დროშის ფრიალი არაა საჭირო, ეკონომიკა ავაღორძინოთ და აფხაზები ჩვენსკენ გამოიქცევიან. ისეთი ჩამოუყალიბებელი პოლიტიკური ვითარება, როგორიც საქართველოშია, სხვაგან არსად მეგულება. რატომ არ უნდა ველაპარაკოთ მეზობელს? რუსეთის გავლენა სომხეთსა და აზერბაიჯანზეც დიდია, ჩვენ როგორ შევინარჩუნოთ ან დავიცვათ თავი ამ გავლენის დარეგულირების გარეშე? სულაც არ ვფიქრობ, რომ რომელიმე ჩვენი მეზობელი აგრესიულია.

— **რუსეთი აგრესორი არ არის?**

— რითაა აგრესორი? ასე არ ვფიქრობ. რა გიკვირთ? წვრილმანი ურთიერთობებიდან ამ პროცესს არ უნდა შევხედოთ.

— **თქვენთვის წვრილმანია აფხაზეთი და ცხინვალი?**

— აგრესორი ყველაა. გააჩნია, ვინ როგორ მოქმედებს. თურქეთი ათჯერ მეტი აგრესორია ჩემთვის, ასევე ირანიც, რომელმაც დაგვაქცია, მაგრამ ხომ ვთანამშრომლობთ. თავის დროზე, ხომ წაიღეს ჩვენი ტერიტორიები. ყველას თავისი ინტერესი აქვს. რა მოვიგეთ 9 წლის განმავლობაში რუსეთს დედას რომ ვაგინებდით? პირველ რიგში, საკუთარ თავზე უნდა ვიფიქროთ. სტალინის სიტყვები გავიხსენოთ, მიზნის მისაღწევად ყველა საშუალება გამართლებულია და არ მითხრათ, სტალინი დეგენერატიაო.

— **სტალინამდე 5 საუკუნით ადრე ეს სიტყვები მაკიაველმა თქვა, თქვენთვის სტალინი პოლიტიკოსის იდეალია?**

— მით უმეტეს, კარგია, თუ ბევრად ადრე უთქვამთ. სტალინი, როგორც პიროვნება, მომწონს, როგორც პოლიტიკოსთან შენიშვნები მაქვს, მაგრამ ადამიანი მსოფლიო პოლიტიკაში ასეთ წარმატებებს შემთხვევით არ აღწევს.

ვერსიანიუსი

ევროკავშირი საქართველოს მიერ ვიზა ლიბერალიზაციის პირველი ფაზის წარმატებით განხორციელებას მიესალმება

ევროკომისარი მიგრაციის, საშინაო საქმეთა და მოქალაქეობის საკითხებში დიმიტრის ავრამოპულოსი საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს შეხვდა.

ევროკომისარმა მზადყოფნა გამოთქვა, ხელი შეუწყოს საქართველოს, რათა სამოქმედო გეგმის მეორე ფაზა ასევე დადებითად შეფასდეს. ამ მიზნით პირველი მისია საქართველოს 24 ნოემბერს ეწვევა.

შეხვედრისას პრემიერმა იმ კონკრეტულ შედეგებზე ისაუბრა, რომელსაც საქართველომ ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში მიაღწია.

ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით, მიღებულია კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“; მიგრაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა; თომას ჰამერბერგის რეკომენდაციების შესაბამისი ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა და კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“.

მთავრობის მეთაურმა ევროპული და ევროატლანტიკური კურსისადმი ერთგულება ევროკომისარს კიდევ ერთხელ დაუდასტურა და განაცხადა, რომ საქართველო ასოცირების ხელშეკრულების ეფექტური იმპლემენტაციისთვის მზადაა.

„პირველი“

რა პროგრამებს დააფინანსებს თბილისის ბიუჯეტი 2015 წლიდან

მაია მიშელაძე
593-51-90-12

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ, დედაქალაქის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტი წარადგინა. ქალაქის საკრებულოში თბილისის ბიუჯეტი უკვე შევიდა. მომავალი წლის ბიუჯეტი 800 000 000 ლარით განისაზღვრა. პროექტის მიხედვით, პრიორიტეტული მიმართულებები ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, ასევე გამწვანება, ბაღების მშენებლობა და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობაა.

ბიუჯეტის პრიორიტეტების დადგენის მიზნით, რაიონების მიხედვით, ჯამში, 8 000 ადამიანი გამოკითხეს. 2015 წელს, სოციალური პროექტები 168 542 800-ით, ხოლო ჯანდაცვის ღონისძიებები 34 450 000 ლარით დაფინანსდა, რაც 2014 წლის გეგმურ მაჩვენებელზე 8 მილიონით მეტია. მომდევნო წლიდან C ჰეპატიტით დაავადებულ პირებში, მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისთვის საჭირო კვლევების დაფინანსების პროგრამა დაიწყება, რისთვისაც ბიუჯეტში 1 400 000 ლარია გამოყოფილი. ლეიკემიით დაავადებულთა და სხვა ონკოჰემატოლოგიური პაციენტების (0-დან 25 წლამდე ასაკის) ოპერაციების დასაფინანსებლად კი, 4 000 000 ლარი გამოყვეს.

2015 წლიდან დაიწყება სოციალურად დაუცველი, 18 წლამდე მკვეთრად და მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირების დახმარების პროგრამაც. ამისთვის 800 000 ლარია გამოყოფილი. პროგრამით მოსარგებლე პირები არიან სოციალურად დაუცველი, 0-დან 150 000-ის ჩათვლით, სარეიტინგო ქულის მქონე 18 წლამდე მკვეთრად და მნიშვნელოვნად შშმ პირი; სოციალურად დაუცველი მკვეთრად შშმ უსინათლო პირების დასახმარებლად კი 1 მილიონი ლარია განსაზღვრული.

2015 წლიდან, სოციალურად დაუცველ ოჯახებში, ყველა ახალშობილზე ერთჯერადი, 500-ლარიანი დახმარების პროგრამა დაიწყება. ამ მიზნითაც, მილიონი ლარია გამოყოფილი. პროგრამის მიზანია, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, 100 000 და დაბალი სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებული ოჯახებისთვის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ამოქმედდება პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა, რომლის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი სტუდენტები დაფინანსდებიან. ამ მიზნით 950 000 ლარი გამოყვეს. ასევე დაიწყება მიუსაფართა თავშესაფრის მოვლა-პატრონობის პროგრამაც, რისთვისაც 1 1 200 000 ლარი განისაზღვრა. მიზანია, თბილისში, მოსკოვის გამზირზე არსებულ თავშესაფარში მცხოვრები მიუსაფარი პირების უზრუნველყოფა.

2015 წლიდან, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის, 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება გაორმაგდება და ისინი, თითოეულ ბავშვზე 25-ის ნაცვლად 50 ლარს მიიღებენ. ამისთვის ბიუჯეტში 7 მილიონი ლარია გათვალისწინებული. 5 მილიონი ლარით იზრდება თბილისის მუნიციპალიტეტის გამგეობების მიერ, სოციალურად დაუცველი პირების დაფინანსება. 3 500 000 ლარით კი, იზრდება უფასო სასადილოებით ბენეფიციართა მომსახურების თანხაც. ყველა ბენეფიციარი, ვინც მიმდინარე და გასულ წლებში, სარეზერვო სიებში იყო, ძირითად სიაში გადავა. ამ მიზნით, თბილისის ბიუჯეტში 13 700 000 ლარია გათვალისწინებული.

700 000 ლარით იზრდება სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის სერვისების მიწოდებაც, მათ შორის, უფასო სწავლება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში, ხელოვნების და სპორტულ სკოლებსა და საცურაო აუზებში. ამ მიმართულებით, თბილისის ბიუჯეტში 4 000 000 ლარია გამოყოფილი 2015 წელს, ავარიული სახლების მობინადრეების კომპენსაციაც გაიზრდება.

კიდევ ერთი პრიორიტეტული მიმართულება გამწვანებაა. ამ მიზნით, მომდევნო წლიდან, გამწვანების ღონისძიებები 5 000 000 ლარით იზრდება. დაიწყება დენდროლოგიური პარკის რეაბილიტაციის პროექტი. მასშტაბური გამწვანების ღონისძიებები განხორციელდება რამდენიმე, სპეციალურად შერჩეულ ადგილზე. 2015 წელს, აღნიშნულ ღონისძიებებზე, 20 000 000 ლარი დაიხარჯება.

2015 წლის თბილისის ბიუჯეტის პროექტში, 8 000 000 ლარით იზრდება ბაგა-ბაღების პროგრამა, რისთვისაც 85 000 000 ლარი გამოყვეს. გაისად, 8 ახალი ბაღის მშენებლობა დაიწყება. ამ პროექტზე თბილისის ბიუჯეტში, 20 000 000 ლარია გათვალისწინებული.

კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურული პროექტები 238 მილიონიო ლარით დაფინანსდება, საინჟინრო ნაგებობების მშენებლობა-აღდგენა-რეაბილიტაციისთვის კი 5 000 000 ლარი დაიხარჯება.

5 200 000 ლარით იზრდება ავარიული შენობების გასამაგრებელი სამუშაოები, რისთვისაც ბიუჯეტში 18 500 000 ლარია გათვალისწინებული. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენისთვის 60 120 000 ლარი დაიხარჯება, ხოლო მრავალსართულიანი ავტოსადგომის მშენებლობისთვის — 3 500 000 ლარი. 2015 წელს, დედაქალაქის რაიონული გამგეობების ბიუჯეტი 32 000 000 ლარით იზრდება, რომლითაც ინფრასტრუქტურული და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების პროექტები დაფინანსდება.

ინოვაციური მუნიციპალური პროექტების განხორციელებაზე 2 500 000 ლარი დაიხარჯება — სამგორი-ვაზისუბნის საბაგიროს გზა დაპროექტდება; ამისთვის საჭური კვლევა დაფინანსდება და პროექტირების სამუშაოებიც დაიწყება. ასევე, იწყება პროექტი „QR კოდები — თბილისი“ იწყება, რაც ნიშნავს, რომ დედაქალაქის მასშტაბით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსა და მნიშვნელოვან არქიტექტურულ ნაგებობებს, სულ 300 ერთეულს, QR კოდებს მიანიჭებენ.

ასევე დაიწყება პროექტი „თბილისის მწვანე ქუჩა“, რომელიც მიზნად ისახავს, თბილისის ერთ-ერთი ქუჩის შერჩევასა და მის განსაკუთრებულ, „მწვანე“ სტატუსით პროექტირებას — სპეციალურად შერჩეული ხეების დარგვა; მიმდებარე ინფრასტრუქტურის „გამწვანება“; ჰაერის დაბინძურების გაზომვის მიზნით ქუჩის საინფორმაციო ციფრული ტექნოლოგიური მოწყობილობებით აღჭურვა.

2015 წლიდან, „ენერგოეფექტური მუნიციპალური შენობის“ პროექტიც დაიწყება. პროექტი პილოტურია და შენობის კარკასის ენერგოეფექტურ თბოიზოლაციას; ენერგოეფექტური, თანამედროვე გათბობისა და წყალმომარაგების სისტემათა ინსტალაციას; განათების ენერგოეფექტური სისტემის ინსტალაციას მოიცავს.

საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა — თბილისის“ წარმომადგენლებს თბილისის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, კონკრეტული შენიშვნები აქვთ. ოპოზიციის მტკიცებით, ზამთრის პერიოდში, თბილისელებზე გადასანაწილებელი კომუნალური ვაუჩერებისთვის ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხა განახევრებულია. „ვერსიას“ ფრაქციის თავმჯდომარე **ირაკლი აბესაძე** ესაუბრება: **„სოციალური მიმართულების დაფინანსება 6 600 000 ლარით შემცირდა. დავით ნარმანია ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროექტებს აერთიანებს, როცა ამბობს, რომ 8 მილიონი ლარით იზრდება მათი დაფინანსება. სინამდვილეში, მხოლოდ ჯანდაცვა იზრდება 8 000 000 ლარით. შემცირების მიზეზი ისაა, რომ კომუნალური ვაუჩერებისთვის ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხა 7 მილიონი ლარით შემცირდა — 44 მილიონის ნაცვლად, ამ მიზნისთვის მხოლოდ 37 000 000 ლარია. კომუნალური ვაუჩერი გაორმაგდება მოქალაქეებისთვის, რომლებსაც 70 000 სარეიტინგო ქულამდე აქვთ. ასეთი თბილისში დაახლოებით 39 900 ოჯახია. ყველა დანარჩენს კი ვაუჩერი უნახევრდება. ეს ნიშნავს, რომ 20-ის ნაცვლად, თვეში 10 ლარს მიიღებენ. როგორც კი ეს გავახმოვანეთ, თბილისის მერმა განაცხადა, 2015 წელს, პირველი სამი თვე, ყველა ოჯახი ისევ 20-ლარიან ვაუჩერს მიიღებს, ნოემბერ-დეკემბერში კი, ვაუჩერების დაფინანსებას გადავხედავთ და თანხების განაწილების მექანიზმს შეცვლითო. იანვარ-თებერვალ-მარტში, თითოეულმა ოჯახმა ისევ 20-ლარიანი ვაუჩერი რომ მიიღოს, ბიუჯეტში ოჯახზე 60 ლარი უნდა იყოს გათვალისწინებული, არადა, მხოლოდ 50-ლარია. ანუ, თბილისის მერი ტყუის“.**

საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა — თბილისის“ წარმომადგენლების ბრალდებას დედაქალაქის მერი, დავით ნარმანია გამოეხმაურა და განაცხადა, რომ 2015 წლის იანვრიდან, კომუნალური ვაუჩერების გაცემის წესი იცვლება. მისი თქმით, 2016 წლიდან, თბილისში კომუნალური ვაუჩერები საყოველთაო აღარ იქნება. დავით ნარმანიას თქმით, მუშავდება 4 სხვადასხვა მოდელი, რომლის მიხედვითაც კომუნალურ ვაუჩერებს მხოლოდ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას დაურიგებენ:

„მე ვთვლი, რომ არც მე და არც იმ ადამიანებს, რომლებიც იღებენ შემოსავალს, ასეთი ვაუჩერი არ უნდა ერიცხებოდეთ და ჩვენი მოდგომაც ასეთია. ამიტომ მომდევნო წლის 1 იანვრიდან, ჩვენ ამის ტრანსფორმირებას ვგეგმავთ. 4 სხვადასხვა სცენარი გვაქვს, რომლებსაც ვიხილავთ, მაგრამ არიან ადამიანები ჩვენს გარშემო, რომლებსაც შემოსავალი არ აქვთ, რომლებიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფებიან და ამიტომ ამ ადამიანებისთვის ვაუჩერის მოცულობის გაზრდა, რა თქმა უნდა, დამატებითი შვებაა. კომუნალურ ვაუჩერებს მიიღებენ ის ადამიანები, რომლებსაც ასეთი დახმარება ნამდვილად სჭირდებათ. მედიას ვთხოვთ, რომ დაგვეხმარონ საინფორმაციო კამპანიაში, რათა საზოგადოებამ ეს სხვაგვარად არ აღიქვას, რადგან შესაძლოა, საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა, თუ ჩვენ სწორად არ მივიტანეთ მათთან, ეს ცვლილებები ვერ აღიქვას ისე, როგორც საჭიროა“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

2015 წლის თბილისის ბიუჯეტის პროექტის განხილვა დედაქალაქის საკრებულოში უახლოეს დღეებში დაიწყება.

მამუკა ხაზარაძე — წლის მეწარმე 2014

„წლის მეწარმის“ ტიტულის პირველი ქართველი მფლობელი მამუკა ხაზარაძეა (თიბისი ჯგუფი). ეს გადაწყვეტილება საერთაშორისო კონკურსის „წლის მეწარმე — 2014“-ის გალადაჯილდოების ცერემონიაზე გახდა ცნობილი, რომელიც სასტუმრო „რედისონში“ გაიმართა.

კონკურსი „წლის მეწარმე“, საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია „EY საქართველოს“ ორგანიზებითა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოში პირველად ჩატარდა.

„დიდი მადლობა „EY საქართველოს“ ორგანიზატორებსა და ჟიურის. ვფიქრობ, ასეთი ღონისძიებები ძალიან დიდი სტიმულია ქართული ბიზნესისთვის და სასარგებლოა, ზოგადად, ბიზნესგარემოსთვის. რაც შეეხება ჩემს გამარჯვებას, ეს ეკუთვნის თიბისის მთელ გუნდს და მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ მათგანს“, — განაცხადა მამუკა ხაზარაძემ.

საერთაშორისო კონკურსის „წლის მეწარმე — 2014“-ის ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ რუბენ ვარდანიანი („ტროიკა დიალოგის“ დამფუძნებელი, 2005 წლის რუსეთის მეწარმის ტიტულის მფლობელი და 2012 წლის მსოფლიო მეწარმის ჟიურის წევრი), ქეთევან ბოჭორიშვილი (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე), გიორგი ბაჩიაშვილი (თანაინვესტირების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი), დევი ხეჩინაშვილი (გამგეობის თავმჯდომარე, აიპ „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია“) და გიორგი ჭირაქაძე (საქართველოს ბიზნეს-ასოციაციის პრეზიდენტი).

„წლის მეწარმე — 2014“-ის გამარჯვებული, 2015 წლის ივნისში, მონტე კარლოში გამართულ ღონისძიებაზე World Entrepreneur Of The Year გაემგზავრება, სადაც საქართველოს წარადგენს და მსოფლიო მეწარმის ტიტულის მოსაპოვებლად იბრძოლებს.

კახა კალაძის ანგარიში



შემცირებული ტარიფი, განათებული რვა სოფელი, შვიდი ახალი ჰესი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ენერგეტიკაში — 2 წლის მუშაობის მთავარი მიღწევები

წლის ბოლომდე ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზის მიმდებარე ყველა სოფლის გაზიფიცირება დასრულდება

გიორგი იაშვილი

ენერგეტიკის სამინისტროს მიმართ დამოკიდებულება ყოველთვის არაერთგვაროვანი იყო. თემა განსაკუთრებით აქტუალური მაშინ ხდება, როცა ზამთარი მოდის. განსაკუთრებით მწვავედ, ამ სფეროს შესახებ მაშინ საუბრობდნენ, როცა მინისტრად კახა კალაძე დანიშნეს. ოპონენტების რეაქცია, ეს სფერო ენერგეტიკაში გამოუცდელ კადრს ჩააბარესო, ალბათ ყველას გახსოვთ.

კახა კალაძემ საზოგადოებას სამინისტროს მიერ ორ წელში გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიში წარუდგინა და შეიძლება ითქვას, ენერგეტიკაში კარგად ჩახედული ადამიანებიც დაარწმუნა, რომ საქმე მოსალოდნელზე კარგად მიდის.

მინისტრმა გასული ორი წლის მთავარ მიღწევად, აქამდე უშუქო რვა სოფლის ელექტროფიცირება, შვიდი ჰესის ექსპლუატაციაში შესვლა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დაასახელა. არანაკლებ საინტერესოა მოსახლეობისთვის შემცირებული ტარიფები, რომელიც თავის დროზე, ოპონენტთა ქილიკის თემად იქცა, რეალურად კი მოსახლეობამ ამით ჯამში 140 მილიონი ლარი დაზოგა. ელექტროენერგიაზე ტარიფი შემცირდა 300 კვტ./საათამდე მოხმარების შემთხვევაში, რამაც 2013 წლის პირველი იანვრიდან მოსახლეობისთვის ელექტროენერგია 21-27%–ით გააიაფა. ასევე შემცირდა ბუნებრივი აირის ტარიფი 5 თეთრით.

2 წლის განმავლობაში განხორციელდა სოფლების გაზიფიცირება, სადაც მოსახლეობას ბუნებრივი აირი წლების განმავლობაში არ მიეწოდებოდა. საქართველოს მასშტაბით გაზიფიცირდა 133, 361 აბონენტი. ასევე უნდა აღინიშნოს ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზის მიმდებარე ყველა სოფლის გაზიფიცირება, რაც დაგეგმილია წლის ბოლომდე. ამ მიზნისთვის მთავრობამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 19 მლნ ლარი გამოყო, რაც 58 სოფელს უზრუნველყოფს ბუნებრივი აირით. გაზიფიცირებულ სოფლებში ქსელზე მიერთების საფასური 600-დან 400 ლარამდე შემცირდა. მოსახლეობას ამ თანხის ეტაპობრივი გადახდის შესაძლებლობა აქვს, ყოველთვიურად 25 ლარის ოდენობით. ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს მასშტაბით გამრიცხველიანდა 170,000-მდე აბონენტი, რომელთა ჯამურმა საინვესტიციო ღირებულებამ შეადგინა 37 მლნ ლარი. 2016 წლამდე მთლიანად დასრულდება საქართველოს ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროგრამა, რაც აქამდე თითქოს წარმოუდგენლად ჩანდა.

გამარტივებული პროცედურებისა და გაუმჯობესებული საინვესტიციო კლიმატის შედეგად, ენერგეტიკის სამინისტროსთან გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე, 82 ჰიდროელექტროსადგურის პროექტი მიმდინარეობს. აღნიშნული პროექტებიდან 17 ჰესი მშენებლობის ეტაპზეა — პროექტების ჯამური დადგმული სიმძლავრეა 630 მეგავატი, ხოლო წლიური ჯამური გამომუშავება — 2,625 მლნ. კვტ. სთ. 13 პროექტი სხვადასხვა მოსამზადებელ ეტაპზეა და მშენებლობა უახლოეს პერიოდში დაიწყება. ეს დამატებით 1310 მეგავატია, ხოლო წლიური ჯამური გამომუშავება 4, 000 მლნ. კვტ/სთ-ს შეადგენს. 52 პროექტი კვლევის ეტაპზეა, რის საფუძველზეც პერსპექტივაში გვექნება 910 მეგავატი ჯამური დადგმული სიმძლავრე და 2,600 მლნ კვტ/სთ ჯამური წლიური გამომუშავებით.

ერთის მხრივ, ციფრები შესაძლოა დამღლელი და ძნელად აღსაქმელი იყოს, მაგრამ ეს ყველაფერი უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის. თანაც, ენერგეტიკის სამინისტრომ ინიციატივით მიმართა მთავრობას, უფრო გამჭვირვალე, გამარტივებული და ლიბერალური გახდეს საინვესტიციო პროექტების განხორციელება ენერგეტიკის სექტორში. 2013 წლის 21 აგვისტოდან ძალაში შევიდა ცვლილებები მთავრობის დადგენილებაში „საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის შესახებ“. შედეგად, ამოქმედდა პროექტის განხორციელების ორსაფეხურიანი სისტემა: წინასამშენებლო ფაზა და სამშენებლო ფაზა; მნიშვნელოვნად შემცირდა საბანკო გარანტიის მოცულობა; ინვესტორი ვალდებულია, წლიური გამომუშავების 20% მიაწოდოს ადგილობრივ ბაზარს, რაც მოიცავს დეფიციტურ ზამთრის თვეებს.

სამინისტროში აცხადებენ, რომ 2012 წლის IV კვ — 2014 წლის II კვ. ენერგეტიკის სექტორში განხორციელდა 347, 328 მლნ აშშ დოლარის მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, რაც ნიშნავს, რომ საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი, ხვედრითი წილი — 22%, სწორედ ენერგეტიკაზე მოდის.

საინტერესო მდგომარეობაა ნავთობის სექტორშიც. საქართველოში 25 სალიცენზიო ბლოკზე ნავთობისა და გაზის ძიების სამუშაოებს 12 კომპანია ახორციელებს; გაფორმდა ახალი ხელშეკრულებები 3 სალიცენზიო ბლოკზე და განხორციელებულმა ინვესტიციამ შეადგინა 135,448,670 მლნ აშშ დოლარი; ნავთობის ჯამურმა მოპოვებამ შეადგინა 80,058,838 ტონა, გაზის ჯამურმა მოპოვებამ კი — 11,587,593 მილიონი $მ^3$.

კახა კალაძის ანგარიში შეაფასა ექსპერტმა **გია ხუხაშვილმა**: **„ჯამში, ენერგეტიკის სამინისტრო ერთ-ერთია არცთუ ბევრი სამინისტროდან, ვისი სამუშაოც შეიძლება დადებითად შეფასდეს. უწყების აქტიურობა როგორც კახი კალაძის პერსონალური, ასევე გუნდის მუშაობის დამსახურებაა. დადებითად უნდა შეფასდეს ენერგეტიკის სამინისტროს მუშაობა, რადგან ეს არის უწყება, სადაც აქტიურობა შეიმჩნევა და სისტემა სტაბილურად მუშაობს. ვფიქრობ, კახა კალაძემ, მიუხედავად იმისა, რომ პროფესიონალი ენერგეტიკოსი არ იყო, საკმაოდ კარგი შედეგები აჩვენა, ძალიან მონდომებულია, კარგი მენეჯერია, ბევრი ისწავლა ამ პერიოდში. ენერგეტიკის სამინისტრო სოციალურად ორიენტირებული სამინისტროა, პირველივე ნაბიჯები, რაც გადადგმული იყო, ამის დასტურია. მახსოვს როგორ ფიქრობდა მინისტრი და მისი გუნდი მუდმივად იმაზე, რომ ტარიფი შემცირებულიყო. ეს დღეს აღარავის აღარ ახსოვს, მაგრამ მაშინ როგორც გაზის, ასევე ელექტროენერგიის ტარიფის შემცირება მოხდა და ეს მარტივი გასაკეთებელი არ იყო“.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის **სოზარ სუბარის** შეფასებით კი: **„აღსანიშნავია ერთის მხრივ ხალხისთვის გაწეული შეღავათი და 140 მილიონი ლარი, რომელიც მოსახლეობამ ორი წლის განმავლობაში დაზოგა. მეორე — ინვესტიციების მასშტაბური ზრდა, რომელიც ამ სფეროში მოხდა. აქ სერიოზული წინსვლაა, რათა მომავალში, საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება დამოუკიდებელი იყოს. მინდა ხაზი გავუსვა ჩვენი და ენერგეტიკის სამიისტროებს შორის, ძალიან ეფექტურ თანამშრომლობას. ბევრი პროექტი, რომელთა გადაწყვეტაც მრავალი წლის განმავლობაში შეიძლებოდა და არ გადაწყდა, რამდენიმე კვირისა თუ თვის განმავლობაში დაიძრა, გადაწყდა. მაგალითად, დღეს, მიმდინარეობს დევნილთა ჩასახლების ადგილებში გაზიფიცირების პროექტი ხორციელდება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია“.**

ვერსიანიუსი

შსს-ს ვებგვერდის სპეციალური ხმოვანი ვერსიის პრეზენტაცია გაიმართა

შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, კერძოდ, უსინათლო და მხედველობადაქვეითებული პირებისთვის, შსს-ს ვებგვერდის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად www.police.ge-ს სპეციალური ხმოვანი ვერსია მოამზადა.

ვებგვერდის ხმოვანი ვერსიის შექმნის მიზანია, www.police.ge-ზე განთავსებული და განახლებადი ინფორმაცია უსინათლო და მცირემხედველი პირებისთვის სრულად იყოს ხელმისაწვდომი. შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ვებგვერდის ადაპტირების პროექტი შემუშავდა და ექვსი თვის განმავლობაში განხორციელდა შსს-ს ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტსა და „საქართველოს უსინათლოთა კავშირის“ წევრებთან – ბექა გოზალიშვილსა და ვლადიმერ ურდულაშვილთან ერთად. პროექტი პასუხობს „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) გამოწვევებს, კერძოდ, საჯარო მომსახურების გაუმჯობესებას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რომელიც ვალდებულების სახით „ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს“ 2014–2015 წლის სამოქმედო გეგმაშია შესული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობა, რაც სამინისტროს საქმიანობის სხვადასხვა ეტაპზე საზოგადოების ჩართულობასა და სამინისტროს მიმართ ნდობის გაღრმავებას მოიცავს. ასევე მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და საჯარო მომსახურების დახვეწა. შსს-ს ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პროექტის ფარგლებში მომზადდა ხმოვანი ვებპორტალი voice.police.ge. ახალი ინფორმაცია, რომელიც განთავსდება police.ge-ზე ავტომატურ რეჟიმში გადავა voice.police.ge-ზეც. ხმოვანი ვებპორტალი ნებისმიერი ბრაუზერის გამოყენებითაა ხელმისაწვდომი. აღსანიშნავია, რომ ეს პროექტი უნიკალურია და საქართველოში ანალოგი არ გააჩნია. შინაგან საქმეთა სამინისტრო პირველი უწყებაა, რომელმაც უსინათლო და მხედველობადაქვეითებული პირებისთვის ვებგვერდის ხმოვანი ვერსია შექმნა.

„ვერსიანიუსი“

როგორ მოკლა „კანონიერი ქურდის“ მკვლელი პატიმარმა

ზონიდან პატიმრები ევროპაში ავტორიტეტებს ციხის ადმინისტრაციის თანდასწრებით ურეკავდნენ

პატიმარი №0578

თანამედროვე ახალგაზრდების ნაწილს ევროპაში წასვლა სწავლის გასაგრძელებლად სურს, ნაწილს — ლუკმაპურის საშოვნელად. ვიღაც მოსაპარად მიდის, ზოგისთვის კი ევროპა და ზოგადად, საქართველოსიქეთ მსოფლიო, ე.წ. ქურდული სამყაროს საშვია. სწორედ ევროპაში ცდილობენ ქართულ ციხეებში დაყვინჩილებული კრიმინალები „კანონიერი ქურდის“ სტატუსის მიღებას. ცოდვა გამხელილი სჯობს, ამ საქმეში მათ ხელს ზონის ადმინისტრაციაც უწყობს. შაბათობით, ზონებიდან ევროპაში დარეკვაა შესაძლებელი და არცთუ იშვიათად, სწორედ ქურდებთან რეკავენ. ისტორია, რომელსაც გიამბობთ, საკმაოდ ტრაგიკულია და... ბოდიში, გოგიტა...

„სვანეთში ყველაზე გამორჩეული ჩვენი სოფელია, 12 აკადემიკოსი ჰყავს გაზრდილი. ხომ წარმოგიდგენიათ, ერთი პატარა სოფლიდან 12 აკადემიკოსი რას ნიშნავს?!“ — ბატონი გარსევანი ნანატრი ძის დაბადების გამო გაშლილ სუფრას თამადობდა. ის კი, რაც იმ სუფრაზე მოხდა, გოგიტას მამის მეგობარმა მას შემდეგ უამბო, რაც ბიჭი ჭკუაში ჩავარდა.

გოგიტა კარგად სწავლობდა. მშობლები მაქსიმალურად ცდილობდნენ, მისთვის კარგი განათლება მიეცათ. ბატონ გარსევანს, ძეობის სუფრაზე არ უთქვამს, რომ იმ სოფელმა 12 აკადემიკოსთან ერთად, ქვეყანას 20-ზე მეტი კანონიერი ქურდიც უსახსოვრა. გოგიტა ამით უფრო დაინტერესდა — 14 წლის იყო, პირველად მოსაპარად რომ წაიყვანეს. ერთ ქურდობას მეორე, მესამე, მეოთხე... მოჰყვა და ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში, გოგიტას უკვე ჰქონდა გამოცდილი მომპარავის სახელი. მერე ქურდებიც გაიცნო, მათით მოიხიბლა და ერთ დღეს გამოაცხადა — კანონიერი ქურდობა მინდაო. „კაიბიჭი“ ამას რომ დაანონსებს, მას შემდეგ ლუპით აკვირდებიან, არაფერი უნდა შეეშალოს. გოგიტასაც არ ეშლებოდა. მისი ავტორიტეტი გაიზარდა და 19 წლისას სიტყვა, ქუჩასა და უბანში კი არა, ქალაქში ეთქმოდა. ადგილობრივი სამართალდამცავები ცდილობდნენ, დაეჭირათ, მაგრამ საქმეზე ვერ მოიხელთეს, წამალს არ ეკარებოდა და ამიტომ შესაფერის მომენტს ელოდნენ. ბოლოს, იარაღი ჩაუდეს და ორი წელი მისცეს.

„ვაჟკაცს იარაღი შეშვენის. რომ ჰქონოდა, არ მექნებოდა რეაქცია, მაგრამ ვიცი, ჩაუდეს, მოიხდის ციხეს და ცხოვრებას დაუბრუნდება“, — იხტიბარს არ იტეხდა ბატონი გარსევანი.

„მაგ ბიჭმა დაგვღალა, მთელი ქალაქი აწიოკებული ჰყავდა, მაგრამ ვერსად მოვიხელთეთ. ციხიდან 2 წელში არ უნდა გამოვიდეს. მამამისი ვიღაც აკადემიკოსებს აწუხებს, ეგებ პრეზიდენტმა შეიწყალოსო. საბედნიეროდ, ეს შეწყალებას ხელს არ მოაწერს, ქურდობა უნდა. ჰოდა, მოიფიქრეთ რამე“, — ასეთი მითითება გლდანის ციხეში ალექსანდრე მუხაძემ მიიღო, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა და გოგიტა ე.წ. კრიტში, მეექვსე დაწესებულებაში გაუშვა. პატიმარს მიყვანისთანავე გვარიანად სცემეს და „ადინოჩკაში“ შეაგდეს. ორკაციან კამერაში სამი დღე გაატარა და სამალავიც აღმოაჩინა. სამალავში „შტირი“ იდო, დიდი ლურსმნისგან გაკეთებული. მესამე დღეს „კრიტის“ მაყურებელი ეწვია, სიგარეტი და ჩაი მიუტანა, თუ რამე გაგიჭირდეს, ჩამოგვძახე და გექნება. აქედან ერთ კვირაში გაგიშვებენ, ჩვენს კამერაში იქნებიო, უთხრა და წავიდა.

მეორე დღეს გოგიტას კამერაში კიდევ ერთი პატიმარი შეიყვანეს, საღამოს კი „ბალანდიორმა“ მაყურებლების მიერ გამოგზავნილი „მალიავა“ მიაწოდა. ფურცელზე მოკლედ ეწერა — ეგ კანონიერი ქურდის მკვლელობისთვის ზის. იმოქმედე, ჩვენგან მწვანე გაქვს...“

„კაიბიჭისგან“ კანონიერი ქურდის მკვლელის დასჯა ლამის კანონიერ ქურდობას ნიშნავს — გოგიტამ სამალავიდან შტირი ამოიღო და სანამ პატიმრის ღრიალზე კამერის კარს გააღებდნენ, ახლადმოსულს 12-ჯერ დაარტყა. პატიმრის ღრიალზე ციხე ახმაურდა. ყველამ იცოდა, რომ კანონიერი ქურდის მკვლელს კლავდნენ და მეექვსე დაწესებულება ლამის დაინგრა...

გოგიტა გლდანის ციხეში დააბრუნეს, დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. სასამართლოს ბევრი არ უწვალია, გოგიტას, მკვლელობასთან ერთად, საკანში აკრძალული ნივთის ქონაც მარტივად დაუმტკიცა და 16 წელი დაუმატა. განაჩენის გამოცხადების შემდეგ, ბატონ გარსევანს, სასამართლო დარბაზში გულის შეტევა დაემართა და საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა...

„გოგიტა მოიყვანეს, გოგიტა“, — აჩურჩულდა ერთ დღეს რუსთავის №17 ზონა და პატიმრები ახლადმოყვანილს შემოეხვივნენ. ყველას აინტერესებდა, როგორ გამოიყურებოდა კანონიერი ქურდის მკვლელის მკვლელი და მაყურებლებიც კი მონიწებით ექცეოდნენ. ზონებში უკვე ევროპიდან ქურდების პრაგონი იყო შესული — გოგიტას თმის ღერიც არ უნდა ჩამოვარდნოდა და ზონაზე ყველაზე კარგად უნდა ყოფილიყო.

„გარეთ არავინ დამრჩა, დედის გარდა. მამის სიკვდილის შემდეგ საშინლად მოტყდა, თითქოს ერთ დღეში დაბერდა. ბევრი არაფერი მინდა — სპორტულები და კედები, რომ ვივარჯიშო და ფეხბურთი ვითამაშო ხოლმე“, — მშვიდად თქვა მაყურებლების კამერაში გოგიტამ და ჩაი მოწრუპა.

მეორე დღეს გოგიტას სპორტულებიც ჰქონდა და ბოტასიც. დილაობით დარბოდა, ნაშუადღევს ბურთს დასდევდა. ე.წ. საქმის გარჩევებში არ ერეოდა, თუ რამე სერიოზული იქნება, მაშინ დამიძახეთო და ერთი შეხედვით, რიგით პატიმრად იქცა, თუმცა...

„ვინ არის ეს №0578?! დილით დამადგა, შენზე რაღაცების დაწერა მინდა და მომიყევიო. მეორედ არ დავინახო, შემომაკვდება“, — მაყურებლების კამერაში ბობოქრობდა გოგიტა, როცა საკნის კარი გაიღო და №0578 შევიდა. მაყურებლებს მიესალმა, მერე კი გოგიტას ჰკითხა — რა მოიფიქრე?!

„მოგზავნილი ხარ თუ რა გინდა?!“, — აფეთქდა გოგიტა. მაყურებლებს გაეცინათ, ჩვენი ძმაა და, თუ გინდა მოუყევი, თუ არა, ასე შეგჭამს სროკის ბოლომდეო.

„გოგიტ, ახლა რომ გაგისერიოზულო და აგახსნევინო, რატომ მითხარი, მოგზავნილი ხარო, იცი, შენ, მინუსში ჩაგეწერება. ძმები ვართ-მეთქი გეუბნები და ისეთს არაფერს დავწერ, რომ გავნოს. რაღაც დეტალები მაინტერესებს, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო“, — უთხრა №0578-მა. კამერა დაიძაბა. მისი სიტყვები პრეტენზიას ჰგავდა და გოგიტას ფერი ეცვალა.

„თუ გინდა, ვიბაზროთ, პრობლემა არ მაქვს, წამიყენე პრეტენზია“, — უთხრა გოგიტამ, მაგრამ პატიმარმა მეგობრულად გაუღიმა, — „ეგ თქვენი ქურდული ფილოსოფია არ მესმის, უბრალოდ, მცირე დეტალებს ვაქცევ ყურადღებას. ის მაინტერესებს, შაბათობით ქურდებთან რომ რეკავთ და იცით, ადმინისტრაცია გისმენთ, რას ეუბნებით? თუ უბრალოდ მოიკითხავთ, სისულელეა. თუ სერიოზულ თემაზე ბაზრობთ — ქურდული სამყაროს წინაშეა დანაშაული. ეს მაინტერესებს, თორემ შენი ისტორია შენზე უკეთ ვიცი, იმდენჯერ აქვთ მოყოლილი...“

გოგიტა კამერიდან გავიდა და №0578-იც გაჰყვა. გოგიტამ მოყოლა ჩუმად დაიწყო:

„სერიოზულ თემებზე არ ვბაზრობთ, თავადაც ვიცით, ეს სისულელეა. უბრალოდ, აუცილებელია შაბათობით ქურდებს ესაუბრო — აქ უნდა დაინახონ, რომ სასტავში ხარ. რაც შეეხება ჩემს ისტორიას, არ ვიცი, რა გითხრეს, მაგრამ ისეთი არაფერი გამიკეთებია, ამ სამყაროსთვის მევნო. თუ ვინმეს ვავნე, ჩემი ოჯახია და მამაჩემს სიცოცხლე მოვუსწრაფე. დედაჩემი იყო ამას წინ პაემანზე და 45 წლის ქალი 70 წლის მოხუცს ჰგავს. ერთს გთხოვ მარტო, ჩემზე არაფერი დაწერო, რაც უნდა შეცვალო, ყველა მიხვდება. დედამ რომ წაიკითხოს, აქ რა მატორზე ვარ და რომ მიხვდეს, ისევ ქურდული ცხოვრებით ვცხოვრობ, გული გაუსკდება. მე ჩემი გითხარი, შენ შენი იცოდე. ისე, თავიდან რომ ვიწყებდე ცხოვრებას, ეგებ მამაჩემის სიტყვები გამემართლებინა, მაგრამ უკმაყოფილო არც ახლა ვარ. მაქსიმალისტი ვარ და ის, რომ ყველა პროფესორი და აკადემიკოსი ვერ იქნება, მეც ვიცი. მთავარია, შენს საქმეში იყო პროფესორიც და აკადემიკოსიც და ქვეყანას ეშველება“.

* * *

გოგიტა სასჯელს ისევ იხდის, პატიმარი №0578 კი მისი დედის გასვენებაში ორიოდე თვის წინ იყო. პირობა, რომ გოგიტას ისტორია არ უნდა გამოქვეყნებულიყო, სწორედ ამიტომ დაირღვა.

„ტყის კვირეულის“ ფარგლებში, წავკისში 300 წიწვოვანი ხე დარგეს

15-დან 23 ნოემბრამდე, WWF-ის ინიციატივითა და ხელშეწყობით, ტყის კვირეული იმართება. კვირეულს ევროკავშრის მიერ დაფინანსებული რეგიონალური პროექტი, „კლიმატის ცვლილებების პირობებში, ტყის ეკოსისტემების მდგრადობის ამაღლება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში“, მასპინძლობს. კვირეულმა სტარტი 15 ნოემბერს, წავკისში, თბილისის მერიის გამგებლობაში არსებულ საცდელ სატყეო უბანზე აიღო. ღონისძიება 2012-2014 წლებში გაშენებული ტყის ნარგაობების დათვალიერებასა და წინასწარ განკუთვნილ ტერიტორიაზე, ხის ნერგების დარგვას მოიცავდა. ნერგების დარგვის პროცესს მონიტორინგი WWF-ის წარმომადგენლებმა გაუწიეს.

15 ნოემბერს, წავკისში 300 წიწვოვანი ხე დარგეს. მედიის გარდა, ტყის კვირეულის ტურში მონაწილეობდა თბილისის მერი დავით ნარმანია ოჯახთან ერთად. მონაწილეებს შორის იყვნენ თბილისის მერიის, WWF-ის, საელჩოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სტუდენტები და სხვა სტუმრები. დასასრულს, მადლობის ნიშნად, ყველა მონაწილეს სერტიფიკატები და სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

„მთელი საზოგადოების ჩართულობით, ძალიან ბევრი ხე ირგვება იმის ნიშნად, რომ ვიზრუნოთ მომავალზე და ეკოლოგიურად სუფთა გარემო გვქონდეს. თითოეულ ნარგავს განსაკუთრებული მზრუნველობა სჭირდება. ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ, რათა ჩვენი დედაქალაქი გამწვანებული და ეკოლოგიურად სუფთა იყოს. ამ მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანია ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის გამოცდილება და მხარდაჭერა“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

ტყის კვირეულის ფარგლებში, სხვა მნიშვნელოვანი აქტივობებიც იგეგმება. 17 ნოემბერს, „ტყის კვირეულს“ ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლამ უმასპინძლა. მოსწავლეებისათვის ეკოგაკვეთილი გაიმართა, სადაც WWF-ის წარმომადგენლებმა ტყის მნიშვნელობაზე ისაუბრეს, ასწავლეს, როგორ გაუფრთხილდნენ ბუნებას, ხეებსა და გარემოს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

20 ნოემბერს, „ტყის კვირეულს“ „ბუკიას ბაღი“ უმასპინძლებს, რომლის ფარგლებშიც მოზარდებისთვის ეკოგაკვეთილები გაიმართება; 21 ნოემბერს, ბრენდირებული ავტობუსით, პანდები და პრომო-გოგონები, ხალხმრავალ ადგილებში (თავისუფლების მოედნიდან, ზოოპარკამდე) ბუშტებით იმოძრავებენ; 22 ნოემბერს, „ტყის კვირეულს“ ხაშური უმასპინძლებს. ქალაქის სატყეო საცდელი ნაკვეთის ტერიტორიაზე გაიმართება ტური ბლოგერებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის; 23 ნოემბერს „ტყის კვირეულს“ ზოოპარკი უმასპინძლებს.

„ტყის კვირეულის“ პარტნიორია თბილისის მერია. საინფორმაციო მხარდამჭერები არიან „პალიტრა მედია“, „ITV ჯგუფი“, გაზეთი Caucasian Business Week, „ფოკუს ტვ“ და ჟურნალი „ფოკუსი“. საკომუნიკაციო კამპანიას პიარისა და მარკეტინგული კომუნიკაციების კომპანია „ჯეპრა“ უზრუნველყოფს.

WWF, უდიდესი, დამოუკიდებელი კონსერვაციული ორგანიზაციაა, რომელსაც მთელ მსოფლიოში, 5 000 000-ზე მეტი მხარდამჭერი ჰყავს. ორგანიზაცია 100-ზე მეტ ქვეყანაში ფუნქციონირებს.

მაია მიშელაძე

ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება არსებული კანონების შეცვლას არ გვთხოვს!

ვინ ცდილობს ევროპის დისკრედიტაციას — კახა გოგოლაშვილის ევროანალიზი

ირუსუდან შელია
557-100-768

რეალურად, რას ითხოვს ევროპა საქართველოსგან? — ეს კითხვა განსაკუთრებით აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც ყველა ცვლილება — სანომრე ნიშნებიდან დაწყებული, სააფთიაქო შეზღუდვებით დამთავრებული — ევროკავშირის წინაშე აღებულ ვალდებულებებს „დაბრალდა“. ექსპერტი კახა გოგოლაშვილი „ვერსიასთან“ საუბრისას განმარტავს, რომ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება სამოქმედო გეგმა არაა და, შესაბამისად, საქართველოსგან ახალი კანონმდებლობის შემუშავებას ან არსებულის შეცვლას არ მოითხოვს.

— ევროპა საქართველოსგან ადამიანის უფლებებისა და იმ ღირებულებების დაცვას ითხოვს, რაც დემოკრატიული სახელმწიფოსთვის აუცილებელია. ამ ხელშეკრულების პოლიტიკურ ნაწილში კი ლაპარაკი მხოლოდ ზოგად პრინციპებზეა. მაგალითად, საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერასა და კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარებაზე; ასევე ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ევროპა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერს! ევროპასთან ასოცირება ტერორიზმთან ბრძოლაში მონაწილეობასაც გულისხმობს და ამიტომ ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ საქართველომ საკუთარი წვლილი რეგიონის უსაფრთხოების გაძლიერებაშიც უნდა შეიტანოს. სწორედ ამით აიხსნება საერთაშორისო მისიებში მონაწილეობის ვალდებულება.

— მთავრობა გვარწმუნებს, რომ ოკუპაციის შესახებ კანონში ცვლილებებს ასოცირების ხელშეკრულება ითხოვს. ასეა?

— არა, ოკუპაციის შესახებ კანონში ცვლილებებზე საუბარი ევროკავშირის მიერ მომზადებულ სხვა რეკომენდაციებში მართლაც იყო, მაგრამ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება კონფლიქტების მხოლოდ მშვიდობიანი და არა სამხედრო გზით მოგვარებაზე საუბრით შემოიფარგლება და მასში აღნიშნულია, რომ მშვიდობიან მოლაპარაკებებში მონაწილეობას ევროკავშირიც მიიღებს.

— ანუ რუსეთთან დიალოგი ევროკავშირის მოთხოვნაა?

— რა თქმა უნდა... ევროკავშირი სამხედრო აგრესიის მომხრე ვერასოდეს იქნება.

— ასოცირების ხელშეკრულებაში საკანონმდებლო და პოლიტიკური ინსტიტუციების კუთხითაც მხოლოდ ზოგად პრინციპებზეა საუბარი?

— ამ შემთხვევაში, საქართველოს ევროპის საბჭოს კონვენციის, ჰელსინკის აქტის, პარიზის ქარტიისა და სხვა საერთაშორისო ფორმატების პატივისცემა ევალება. მაგალითად, ევროპის კონვენციაში კარგადაა გაწერილი საარჩევნო საკითხები, რომლის გაზიარებაც საქართველოს პრეროგატივაა. კონკრეტული რეფორმების გატარება ეკონომიკურ ნაწილში უფრო მკაფიოდ ჩანს, ასევე კონკრეტულ ნაბიჯებზეა საუბარი ვიზა-ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმაშიც, სადაც ძირითადი პრინციპები კონკრეტულადაა განსაზღვრული: იმისთვის, რომ ქართველებმა ევროპაში გადაადგილება თავისუფლად შეძლონ, საქართველოში შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა უნდა მომზადდეს, რაც დოკუმენტების უსაფრთხოების უზრუნველყოფას გულისხმობს. ამაზე კი, იუსტიციის სამინისტროა პასუხისმგებელი.

— ესე იგი, „უცხოელთა შესახებ კანონპროექტის“ შემუშავებაც ევროკავშირის მოთხოვნაა?

— შეიძლება, ასეც ითქვას. ევროპა საქართველოსგან პრინციპის დაცვას ითხოვს და ამბობს, რომ საქართველოში, მაგალითად, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები არ უნდა იჩაგრებოდნენ. მოგეხსენებათ, საამისოდ პარლამენტმა ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღო, მაგრამ ამ მოთხოვნის კანონმდებლობად ქცევა ევროკავშირის პირდაპირი მოთხოვნა არ ყოფილა, ანუ საქართველოს უნდა გადაეწყვიტა, შესაბამის კანონს მიიღებდა თუ პოლიციელებს გააფრთხილებდა, დისკრიმინაციული ფაქტის დაფიქსირებისას, მოქალაქე დააჯარიმეთო.

რაც შეეხება უცხოელთა შესახებ კანონს, ევროკავშირს სავიზო ვადების შემცირება არ მოუთხოვია, თუმცა ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება საქართველოს ვიზების გაცემისა და ემიგრანტების აღრიცხვაზე მაქსიმალურ კონტროლს მართლაც ითხოვს. ქვეყანაში არალეგალური მიგრაცია მკაცრად უნდა კონტროლდებოდეს, მაგრამ რა გზას აირჩევს ამისთვის საქართველო, თავად წყვეტს. შეუძლია, სავიზო რეჟიმი გახსნილადაც კი გამოაცხადოს, მაგრამ მიგრაციის კონტროლი სხვა კუთხით შეძლოს. სხვათა შორის, ასოცირების ხელშეკრულებაში ნათქვამია, თუ ქართულმა მხარემ გარკვეული რეგულაციების მისაღებად ოპტიმალური ვარიანტი ვერ აირჩია, ევროკავშირი მაქსიმალურად დაეხმარება. ჩემი ინფორმაციით, ამ ცვლილებებზე ევროკავშირში უარყოფითი რეაქცია არ ჰქონიათ. საქართველოს მთავრობას სურს, სავიზო პოლიტიკა შენგენის სტანდარტებს გაუთანაბროს, მაგრამ საქართველო ხომ ევროპა და შენეგნის ზონა არ არის? — ამიტომ, ჩემი აზრით, ამ ფორმით კანონმდებლობის მიღება არასწორია. ჯერ ერთი, საქართველოში მყოფი უცხოელები უნდა გაეფრთხილებინათ, რომ ქვეყნის დატოვება ვიზის ასაღებად მალე მოუწევთ, თან მათ არავინ აძლევს გარანტიას, რომ ვიზას ხელახლა მიიღებენ. ცვლილებებმა პრობლემა რუსული პასპორტის მქონე ეთნიკურ უმცირესობებსაც შეუქმნა — საქართველოს ვიზის მისაღებად რუსეთში გამგზავრება მოუწევთ. სახელმწიფომ მოქალაქეების ყოფითი ცხოვრების სირთულეები უნდა გაითვალისწინოს.

— ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ საზოგადოებას ცხოვრების გაუმჯობესების იმედი ჰქონდა, მაგრამ ამ უპირატესობას მოსახლეობა ჯერჯერობით ვერ გრძნობს. მიზეზი ხელისუფლების პასიურობაა?

— ამ მხრივ საქართველოს საკმაოდ ბევრი მუშაობა მოუწევს. მართალია, ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის პრივილეგია მივიღეთ, მაგრამ ევროპის ბაზარზე საფრთხისშემცველ პროდუქტს ვერავინ შეიტანს. ევროკავშირის დირექტივები ამ მიმართულებით ბევრად მკვეთრია. საქართველომ უნდა მიიღოს კანონების მთელი კასკადი, რათა ქართული პროდუქციის ხარისხი ევროკავშირის მოთხოვნებს გაუთანაბრდეს. პირველ რიგში, უნდა აიკრძალოს მავნე და ტექნიკურად დაუმუშავებელი სურსათის რეალიზაცია. სტანდარტი კი, სწორედ კანონმდებლობითაა დასარეგულირებელი. ამ მიმართულებით ექვსი კანონი უკვე მიღებულია, თუმცა მოთხოვნების ჩამონათვალი ბევრად მეტ ცვლილებას ითვალისწინებს. სხვათა შორის, ბაზრის დარეგულირება რვა წელზეა გაწერილი. ასოცირების ხელშეკრულებაში ისიცაა აღნიშნული, რომ, თუ საქართველომ სურსათის უვნებლობის დარგში ლაბორატორიებისა და სხვა შესაბამისი სტრუქტურების გამართვა ვერ შეძლო, ქართულ პროდუქციას თავად ევროკავშირი შეამოწმებს — საქართველოდან ევროპაში გაგზავნილი პროდუქცია ბეგარისგან გათავისუფლდება, მაგრამ ევროპულ ბაზარზე საკმაოდ მკაცრი შემოწმების შემდეგ მოხვდება. ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება კონკურენციის დარგში, სახელმწიფო შესყიდვისა თუ ინტელექტუალური საკითხების დაცვასა და ევროპულ სტანდარტამდე მიყვანასაც ითხოვს. მასში აღნიშნულია ენერგეტიკაში უსაფრთხოების საკითხებიც, ასევე სხვადასხვა ტიპის ტრანსპორტში უსაფრთხოების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის აუცილებლობა.

— ახალი სანომრე ნიშნის შემოღების შემდეგ ითქვა, რომ ევროპას ერთი ნაბიჯით დავუახლოვდით. ე.წ. სააფთიაქო და სხვა ტიპის შეზღუდვებიც ევროკავშირის მოთხოვნით ახსნეს. ასეთი აქცენტები ევროპის დისკრედიტაციას ხომ არ ემსახურება?

— სანომრე ნიშნებზე რეგულაცია ხელშეკრულებაში მართლაც არსებობს, მაგრამ დიზაინი დაკონკრეტებული არაა. ევროკავშირის რეგულაციებში გამაფრთხილებელი ნიშნების, ასევე ინფრასტრუქტურის სტანდარტებიც განსაზღვრულია, რადგან ჩვენთან არსებული ევროპის სტანდარტებს არ აკმაყოფილებს. ხელისუფლებას საზოგადოებასთან კომუნიკაციის პრობლემა აქვს. ევროპაში კანონის მიღებამდე მოსახლეობას დეტალურად აცნობენ, ცვლილებები რითაა განპირობებული და რა შედეგები მოყვება. ამაზე კი, საქართველოში არავინ საუბრობს, რაც ბუნებრივია, მოსახლეობის პროტესტს იწვევს. მეც არ მესიამოვნა, როცა აფთიაქში „ნიმესილი“ ურეცეპტოდ არ მომცეს და ექიმთან კონსულტაცია და 50 ლარის გადახდა მომიწია, ამიტომ მეტი განმარტებაა საჭირო, რა ზიანი მოაქვს ურეცეპტოდ, ექიმის კონსულტაციის გარეშე შეძენილ მედიკამენტებს. ჯანდაცვის სისტემა გაუმჯობესებას მოითხოვს. ასოცირების ხელშეკრულებაში რეგულაციები ამ კუთხითაც გაწერილია — საავადმყოფოების თანამედროვე ტექნიკითა და აპარატურით აღჭურვა, წამლების ხარისხი... კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი დეცენტრალიზაციაა — ასოცირების ხელშეკრულება თვითმმართველი ორგანოების გაძლიერებას ითხოვს.

— ხელისუფლება ვალდებულებების შესასრულებლად ეფექტურად მუშაობს?

— ვიდრე ასოცირებას ხელს მოვაწერდით, ხელისუფლება ბევრად სწრაფად მუშაობდა, რადგან რამდენიმე ძირითადი კანონის მიღება უნდა მოგვესწრო, ხელმოწერის შემდეგ კი ტემპი თითქოს დავარდა. შესაძლოა, არც ჩქარობს, რადგან ასოცირების ხელშეკრულებას გრაფიკი დაერთო — გარკვეული რეგულაციების მიღება ოთხ, ხუთ ან რვა წელზეა გაწერილი.

ლიბერთი ბანკმა აფხაზეთიდან დევნილი სტუდენტები დააჯილდოვა

ლიბერთი ბანკის დირექტორმა, დავით ვერულაშვილმა, სტუდენტთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ინიციატივით გამართულ შეხვედრაზე, დევნილი წარჩინებული სტუდენტები დააჯილდოვა.

ლიბერთი ბანკი მიესალმება აფხაზეთის მთავრობის ინიციატივას და აფხაზეთიდან დევნილ სტუდენტებს, სტუდენტთა საერთაშორისო დღეს ულოცავს. „მაგთი კლუბში“ გამართულ შეხვედრაზე, წარჩინებულ სტუდენტებს ლიბერთი ბანკის სასაჩუქრე ბარათები — Gift Card-ები გადასცეს. სტუდენტები ლიბერთი ბანკის მომსახურებით ისარგებლებენ და ბანკის პარტნიორ სავაჭრო ობიექტებში, სასურველ საჩუქრებს თავად შეარჩევენ.

„მივესალმები აფხაზეთის მთავრობის ინიციატივას და ლიბერთი ბანკის სახელით, აფხაზეთიდან დევნილ სტუდენტებს, სტუდენტთა საერთაშორისო დღეს ვულოცავ. ამ დღესთან დაკავშირებით, წარჩინებულ სტუდენტებს გადავცემთ სასაჩუქრე ბარათ Gift Card-ებს, რომლითაც თავად ექნებათ შესაძლებლობა შეარჩიონ სასურველი საჩუქარი. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ლიბერთი ბანკი განათლების სამინისტროსთან ერთად, სხვადასხვა ღონისძიების თანაორგანიზატორი და სპონსორია, რაც ახალგაზრდა თაობის განათლებასა და განვითარებას უწყობს ხელს“, — განაცხადა დავით ვერულაშვილმა.

ამერიკელი „მკვლელი ექიმები“ ერაყსა და ავღანეთში

რამდენი ადამიანი შეეწირა უკანონო სამედიცინო ექსპერიმენტებს და დაეკისრება თუ არა პასუხისმგებლობა ვაშინგტონს



თამარ ლომსაძე
568-34-44-94

Human Rights Watch-მა, Amnesty International-მა და კიდევ რამდენიმე უფლებადამცველმა ორგანიზაციამ აშშ, ერაყისა და ავღანეთის მოქალაქეებზე უკანონო სამედიცინო ექსპერიმენტების ჩატარებაში დაადანაშაულა. გასაგებია, რომ ეს ამბავი ნაკლებად საინტერესოა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ბატალიების ფონზე, მაგრამ კითხვა — რამდენადაა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა დაზღვეული, რომ მსგავსი რამ არ შეემთხვევა, კვლავ უპასუხოდ რჩება. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ მხრივ გამონაკლისი პოსტსაბჭოთა ქვეყნები ნამდვილად არ არის.

ამ საკითხის ტირაჟირებას, გასაგები მიზეზების გამო, ყველა ერიდება, რადგან დამტკიცება, რომ ადამიანებს საცდელ კურდღლებად იყენებენ, თითქმის შეუძლებელია. არადა ცდები ტარდება და მსოფლიოს უამრავი პრეცედენტი ახსოვს, როცა პაციენტებს უბრალოდ არ ეუბნებიან, რომ ლაბორატორიული თაგვების ბედს იზიარებენ და ახალი პრეპარატის მაღალეფექტურობაზე ტყუილი „ლექციებით“ აბრუებენ.

ბევრი ექიმი დარწმუნებულია, რომ მსგავსი ცდების გარეშე მედიცინის განვითარება უბრალოდ წარმოუდგენელია. არადა, სასწორის ერთ პინაზე ეთიკური პრინციპებია, მეორეზე კი — სამეცნიერო პროგრესი. და სწორედ ეს უკანასკნელი გადაწონის ხოლმე ყველაფერს.

ფაქტია, თუ ამ საკითხთან ამერიკელი ექიმების დაკავშირება მოხერხდა, სერიოზული სკანდალი აგორდება. უფლებადამცველებმა კი ამასობაში მიმართეს ყველა საჭირო ორგანიზაციას, გამოძიების დაწყების მოთხოვნით, რადგან სანდო წყაროს ინფორმაციით, პატიმრებზე, რომლებიც ტერორიზმში იყვნენ შემჩნეულნი, ცდიდნენ კიბოს საწინააღმდეგო ახალ პრეპარატს, რაც ასობით მილიონი დოლარის შემოსავალია ფარმაკოლოგებისთვის. ეს უკანასკნელნი კი ოპონენტთა გასაჩუმებლად ნიურნბერგის ექიმის კოდექსს იშველიებენ, რომლის დაცვასაც რეალურად არავინ ფიქრობს.

უკვე დამტკიცებულია, რომ ამერიკელები ცდიდნენ დიდი ხნის გამოგონილ, მაგრამ ბოლომდე შეუსწავლელ სამ პრეპარატს — კოულის ტოქსინს, ლაეტრილსა და ბიორტონის ხსნარს. სწორედ ისინი მიიჩნევა კიბოს საწინააღმდეგო ალტერნატიულ საშუალებად: კოულის ტოქსინი ჯერ კიდევ 100 წლის წინ აღმოაჩინეს და პერიოდულად იყენებდნენ კიდეც სამკურნალოდ, თუმცა ხშირად წარუმატებლად. უფლებადამცველებს თუ დავუჯერებთ, ამერიკელმა ექიმებმა დაახლოებით 300 ათასი ადამიანი დაასამარეს ამ ცდებისას მხოლოდ ერაყში;

საკმაოდ მასშტაბური იყო ბიორტონის ხსნარის ცდებიც — რომელშიც იძულებით მიაღებინეს მონაწილეობა 1 500-მდე ადამიანს, რა დროსაც ლეტალური გამოსავლის რისკი ძალიან მაღალია. სწორედ ამიტომ ამ ინოვაციის ავტორი თავის დროზე აშშ-დან ბაჰამის კუნძულებზე გაიქცა, რათა დამალვოდა გამოძიებას. დღეს აშშ-ში ამ ხსნარის გამოყენება კანონითაა აკრძალული, ხოლო მისი შეტანისთვის ისეთივე სიმკაცრით სჯიან, როგორც ნარკოტიკის კონტრაბანდისთვის, მაგრამ ამის მიუხედავად, როგორც ჩანს, ფარმაკოლოგიური კომპანიები დაინტერესებულნი არიან ექსპერიმენტების გაგრძელებით, რაც „ორფეხა კურდღლების“ გარეშე მათთვის წარმოუდგენელია.

ფაქტია, ასეთ დროს სისულელეა მოხალისეების ძებნა — ვინ დათანხმდება მსგავს შეთავაზებას თუნდაც დიდი ფულის სანაცვლოდ? აი, პატიმრებს კი, როგორც წესი, არავინ არაფერს ეკითხება — სად აშშ და სად ერაყი თუ ავღანეთი?!

სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკელი მკვლევარები საბჭოთა მეცნიერების კვალს მიყვებიან — მაგალითად, ლაეტრილს, საბჭოთა მეცნიერები გასული საუკუნის 60-იან წლებში ცდიდნენ ახლანდელი არაბი ტერორისტების ბებია-ბაბუებზე: 1960 წელს ერაყმა და ავღანეთმა საბჭოთა გეოლოგები მიიწვია წყლისა და ნავთის გამოსაკვლევად. მათთან ერთად იქ ექიმებიც გაემგზავრნენ. უკვე 1961 წელს მედიკოსებმა გაურკვეველი წარმომავლობის ვაქცინა გაუკეთეს ასობით ადამიანს და თითქმის ყველა ვაქცინირებული გარდაიცვალა. საერთაშორისო სკანდალის თავიდან აცილება სასწაულით მოხერხდა, მაგრამ ექიმები უკან მაინც არ გამოუწვევიათ და ექსპერიმენტებიც საკმაოდ დიდხანს, 1965 წლამდე გაგრძელდა.

ლაეტრილი გასული საუკუნის 50-იან წლებში მიიღეს აშშ-ში და გარკვეული პერიოდი პრეპარატი საიდუმლოდ ითვლებოდა, საბჭოთა დაზვერვამ კი შეაღწია ბიოქიმიკოს ერნესტ კრებსის ლაბორატორიაში და პრეპარატი გაიტაცა. 70-იან წლებში აშშ-ში შეიმუშავეს ავთვისებიანი სიმსივნის მეტაბოლური პროფილაქტიკის პროგრამა ლაეტრილის გამოყენებით, მაგრამ 60-იან წლებში ვერაფრით ახერხებდნენ საჭირო დოზირების შემუშავებას. უცნობია, რამდენი ერაყელი თუ ავღანელი გარდაიცვალა ამ ცდების შედეგად, მაგრამ გარდაცვლილთა რაოდენობა ასობით რომ იყო, ამას ადასტურებს ის, რომ ცდები შეჩერდა სწორედ სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლის გამო, საბჭოთა ექიმებმა ამ წამლის გამოცდა 1965 წელს შეწყვიტეს, ხოლო მათი ამერიკელი კოლეგები დღემდე ცდიან.

გასაგებია, რომ კურდღლებზე ცდები უფრო ჰუმანურია, მაგრამ ექსპერიმენტის სიზუსტისთვის ადამიანია საჭირო, თანაც ბევრი — ასობით, ათასობით... მოხალისეები კი, რა თქმა უნდა, განვითარებად ქვეყნებში უნდა მოიძებნონ და ამის დამადასტურებელი არაერთი ფაქტი არსებობს: მაგალითად რუსეთში ერთ-ერთი სკანდალის მთავარი მოქმედი პირები იყვნენ ადამიანის ტვინის სანკტ-პეტერბურგის ინსტიტუტი და შპს „სამედიცინო მომსახურეობა“. მაშინ სასამართლო პროცესებზე შემზარავ სიმართლეს აეხადა ფარდა — ნარკომანების მკურნალობის მეთოდის შემუშავებისას, ექიმებმა ჩაატარეს 250 ოპერაცია, ცხოველებზე ექსპერიმენტები 2001 წელს ჩატარდა, ხოლო ადამიანებზე ცდები ორი წლით ადრე დაიწყეს. ლეტალობის მაღალი მაჩვენებლის გამო მომჩივანიც არავინ დარჩა, თუმცა ერთმა სარჩელმა მაინც მიაღწია სასამართლომდე და ორივე ორგანიზაციას 213 ათასი რუბლის გადახდა დაეკისრა. მას შემდეგ, რაც პრეცედენტი შეიქმნა და ჰაერში დენთის სუნი დატრიალდა, ექსპერიმენტებმა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში გადაინაცვლა — უკრაინაში, ყირგიზეთსა და ტაჯიკეთში. დღეს კი, როცა ამერიკელი მკვლევარები დიდი პრობლემის წინაშე დგანან, არაა გამორიცხული, გამოძიების ჯაჭვმა ჩვენს სამეზობლომდეც მოაღწიოს. რადგან არ გამოვა მტკიცება, რომ ადამიანებზე ცდებს აღარ ატარებენ, უბრალოდ უკანონო ექსპერიმენტების უკეთ შენიღბვა ისწავლეს, ხოლო არცთუ სრულყოფილი სასამართლო სისტემა და ჯიუტი დუმილი ხშირად აძლევს ექიმ ექსპერიმენტატორებს საშუალებას, გაექცნენ პასუხისმგებლობას.

ეთიკური ნორმები, რომლის მიხედვითაც აკრძალულია ადამიანებზე ცდების ჩატარება მათი თანხმობის გარეშე, გაწერილია ნიურნბერგის ექიმის კოდექსში, რაც მთლად ჰიპოკრატეს ფიცი არა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი დოკუმენტია. ფორმალურად, ამ კოდექსით ყველა ხელმძღვანელობს, რეალურად კი მათთვის ის მხოლოდ ქაღალდის ნაგლეჯია. შესაძლოა ასეთი დამოკიდებულება დაკავშირებულია კოდექსის მიღების ისტორიასთან, რომელიც შავ-ბნელია და სისხლიანი: ნაცისტური გერმანიის ლიდერთა პროცესის შესახებ თითქმის ყველამ იცის, მაგრამ ცოტამ თუ უწყის, რომ ასეთი პროცესი მხოლოდ 12 იყო და მათ შორის ერთ-ერთს ოფიციალურად ერქვა „აშშ კარლ ბრანდტის წინააღმდეგ“, ხოლო არაოფიციალურად ამგვარად იწოდებოდა „ნიურნბერგის პროცესი მკვლელი-ექიმების წინააღმდეგ“, რომელიც 1946-დან 1947 წლამდე გაგრძელდა. საკონცენტრაციო ბანაკის 20 ექიმს, ერთ იურისტსა და ორ გერმანელ ჩინოვნიკს ბრალი ედებოდა ადამიანებზე ცდების ჩატარებაში მათი თანხმობის გარეშე. შედეგად 7-ს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, 5-ს სამუდამო, 4-ს 10-დან 20 წლამდე პატიმრობა მიუსაჯეს, ხოლო დანარჩენი 7 გაამართლეს.

პროცესის მესაჭეები ამერიკელები იყვნენ და სხვა ქვეყნები ახლოსაც არ მიუშვეს. რატომ? — საქმე ისაა, რომ ფიგურირებდა არა მხოლოდ ბრალდებები სადისტი ექიმების წინააღმდეგ, არამედ სრულიად ახალი, მანამდე უცნობი პრეპარატების რეცეპტურა, რომელიც არაადამიანურ ცდებს ეფუძნებოდა. მიიჩნევა, რომ კარლ ბრანდტმა და ვოლფრამ ზივერსმა მეცნიერება 40 წლით წინ წაწიეს და ამიტომ გასაგებია, რომ უმცირესი ინფორმაციის გაჟონვასაც კი ვერ დაუშვებდნენ ამერიკელები. რეალურად ვოლფრამ ზივერსი და ჰიტლერის პირადი ექიმი კარლ ბრანდტი იმდენად არა ცდებს ატარებდნენ ტყვეებზე, რამდენადაც ადგილი ჰქონდა ტექნიკურ სამუშაოებს საკონცენტრაციო ბანაკების ტერიტორიაზე ლაბორატორიების შესაქმნელად. რა თქმა უნდა, სწორედ მათ ხელში იყო ჩანაწერები ყველა ჩატარებული ცდის, ახალი პრეპარატების რეცეპტებისა და კვლევების შესახებ. ამბობენ, ბრანდტის უკანასკნელი სიტყვები სიკვდილით დასჯამდე იყო — „ეს მხოლოდ პოლიტიკური შურისძიებაა“... მაგრამ იგი შეცდა — ეს არ იყო შურისძიება, პროცესის ორგანიზატორები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ამერიკულ კორპორაციებთან, რომლებიც აწარმოებდნენ სამკურნალო საშუალებებს, ხოლო მოსამართლეებმა ხელი შეუწყვეს, რომ ამ კორპორაციებს წვდომა ჰქონოდათ ვაქცინასთან ტიფის წინააღმდეგ, რომელიც აწარმოეს ბუხენვალდისა და ნაცვეილერ-შტრუტგოფის საკონცენტრაციო ბანაკებში; სულფანილამიდთან, რომელიც გამოცდილი იყო პოლონელ ქალებზე რავენსბრიუკის საკონცენტრაციო ბანაკში; ძვლის ტრანსპლანტაციის საიდუმლოებასთან... ასე რომ ზივერსსა და ბრანდტზე შურისძიება არაფერ შუაშია, ეს იყო მხოლოდ ბიზნესი, ამერიკულად! შედეგად, ამერიკამ მიიღო 1500-მდე ახალი რეცეპტი და სამედიცინო მეთოდი, ამასთან სრულიად უფასოდ, ხოლო ლეღვის ფოთლად, რომელიც ექიმების განადგურებისა და მათი ნამუშევრების ხელში ჩაგდების დასაფარად გახდა საჭირო, მსოფლიო მოსახლეობამ მიიღო ნიურნბერგის ექიმის კოდექსი.

წყარო cripo.com.ua

აფხაზეთიდან დევნილი იზოლდა ჩაჩუა დაკარგული საბუთების აღდგენას ითხოვს

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

ჩვენ გვერდით ცხოვრობენ ადამიანები, რომლებსაც ვინაობის დამადასტურებელი საბუთები არ გააჩნიათ. ერთ-ერთი მათგანია აფხაზეთიდან დევნილი იზოლდა ჩაჩუა, რომელიც მშობლიური ბიჭვინთიდან 1991 წელს, სტუდბილეთით ჩამოვიდა. ქალბატონი იზოლდა სოციალურად დაუცველია და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის არქონის გამო, სოციალურ დახმარებას იღებს:

„დავიბადე ბიჭვინთაში, გუნიას ქუჩა №15-ში. 1991 წლის 22 თებერვალს აფხაზეთი დავტოვე, რადგან არეულობა უკვე დაწყებული იყო. თბილისში ჩემს ბიძაშვილთან ჩამოვედი. მერე ომი გაჩაღდა და უკან ვეღარ დავბრუნდი. ერთადერთი პირადობის დამადასტურებელი, ტექნიკუმის სტუდბილეთი დამრჩა, რადგან აფხაზეთიდან წამოსვლისას დაბადების მოწმობა ან პასპორტი არ წამომიღია. 1999 წელს, ეს სტუდბილეთიც მომპარეს — მიწისქვეშა გადასასვლელში ხელჩანთა გამომტაცეს და ერთადერთი საბუთიც მას გაყვა. ამავე წელს, ვაკეში, არაყიშვილზე, პოლიციას მივმართე და უმისამართო პასპორტი მომცეს, რომელსაც 2003 წელს მოქმედების ვადა გაუვიდა. ვადის გასაგრძელებლად უბნის ინსპექტორს გავატანე განყოფილებაში; სამწუხაროდ, ინსპექტორი ამის შემდეგ მალე გარდაიცვალა და ჩემი განაცხადი საერთოდ დაიკარგა. მოქალაქეობის დადასტურება მსურს. წლებია ჰაერში ვარ გამოკიდებული და ამის გამო, სოციალურად დაუცველის სტატუსიც არ მაქვს. მივმართე იუსტიციის სამინისტროს, იუსტიციის სახლს. მომთხოვეს, მიმეტანა ამონაწერი, რას ვაკეთებდი 1985-დან 1991 წლამდე და ასევე, დედის სურათი. ვერცერთი მივუტანე. დედაჩემი არ მახსოვს — 8 თვის ვიყავი, რომ დაიღუპა. 85-დან 91 წლამდე ცხოვრების დასადასტურებლად კი ბიჭვინთაში უნდა ჩავსულიყავი. სხვა გამოსავალი რომ ვეღარ ვნახე, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას მივმართე. მითხრეს, იუსტიციის სახლიდან საბოლოო პასუხი მოგვიტანე და სასამართლოში სარჩელს შევიტანთ, რათა ამ გზით მოხერხდეს დაბადების დადგენა, მოწმობის გაცემა და პასპორტის მონიჭებაო. იმედი გამიჩნდა, რომ საბუთებს დავიბრუნებ. აფხაზეთში დაბრუნების იმედსაც არ ვკარგავ, მაგრამ ჯერ საკუთარი თავი უნდა დავიბრუნო“.

„ვერსია“ იმედოვნებს, რომ აფხაზეთიდან დევნილი ქალბატონი უახლოეს მომავალში დაიბრუნებს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებს. რედაქცია ამ პრობლემატიკაზე მონიტორინგს გააგრძელებს და შედეგებს მკითხველს გააცნობს.

1ქალაქის გარემოცვა მტრის ჯარების მიერ
2. იუზუტთა ორდენის დამაარსებელი
3. ამერიკული ნიანგი
4. ათცენტიანი მონეტა აშშ-ში
5. რკინიგზის პატარა ვაგონი
6. მედლის უკანა მხარე
7. მღრღნელების რიგის ძუძუმწოვ.
8. გამარჯვების ქალღმერთი ბერძნ.მით.
9. გვადი ბიგვას უმცროსი ვაჟი
10. მექანიკის ნაწილი
11. კრივის მოედანი
12. მდინარის კალაპოტის კლაკნი
13. მძარცველი, ყაჩაღი
14. ვერგილიუსის პოემა
15. აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი
16. უძვ. ქართული ძრავალსიმიანი საკრავი
17. ესპან. წარმოშობის ფრანგი მსახიობი
18. შემოს.-გასავლის შეფარდებითი ჯამი
19. ტაჯიკური ლიტერატ. კლასიკოსი
20.დრამატ. ჟანრი შუა საუკუნეებში
21საბჭდი ქაღალდის საზომი ერთეული
22. კუვეიტის ფულის ერთეული
23. სამაგიდო თამაში
24. კოლუმბის ერთ-ერთი კარაველა
25. აშშ-ის მოქმედი პრეზიდენტი
26სამგზავრო ჩანთა წვრილმანი ნივთებისთვის
27. ძვ. ფრანგული სიგრძის ერთეული
28. ხასიათი, ნირი
29.წარსულში ცნობილი ინგ. ფეხბურთელი
30.მეტროპოლიტენის სახელწოდება აშშ-ში
31. პირის ღრუს ზედა ნაწილი
32.მსახიობის მიერ განსახიერებული სახე
33. აშშ-ის შტატი
34.სამელექტროდიანი ელეტრონმილაკი
35. ქალაქი ჩეხეთში
36. საახალწლოდ გამომცხვარი პური
37. სასიგნალო ტივტივა წყალზე
38. ბეისბოლის მსგავსი თამაში რუმინეთში
39. მსახიობი ... ჟირარდო
40. სოფელი სენაკის რაიონში
41.რაიმე ფაქტის ერთ-ერთი ახსნა
42.ბავშვის შესაშინებელი საფრთხობილა
43. ტოკიოს ძველი სახელწოდ.
44. ზღაპრული ცხენი
45. მუსიკალური გამის VI ნოტი
46.იტალ. კომპოზიტ.
47. „...ჭკუისაგან“
48. მშვიდი საუბარი
49. კენიის ოფიციალური ენა
50. „ფოლკსვაგენის“ მოდელი
51. დღეის წინა დღეს ანუ როდის?
52.იტალ. დიზაინერი ჯანფრანკო ...
53. ფრანგი მწერალი
54. მდინარე იტალიაში
55. საძირკვლად დადებული ქელი
56. კოვბოების მეჯიბრება
57. ყოფილი პორტუგალ. ფეხბურთელი
58. გაფუჭებული კვერცხი
59. პლანეტა იუპიტერი ძვ. ქართ.
60. თანაბარი ანგარიში ფეხბურთში
61. ქალაქი სირიაში
62.ხელოვნ. საერთ. ენა
63.კედლის სანათი

„მკერდი შვებულებისთვის“

ამერიკელი პლასტიკური ქირურგი ნორმან როუე ასრულებს სამუშაოს მკერდის დროებითი გაზრდის მეთოდზე. ამ შემთხვევაში პლასტიკური ოპერაცია საჭირო არ არის, თუმცა ეფექტი ხანმოკლეა — მხოლოდ სამი კვირა, მაგრამ, სპეციალისტის თქმით, ეს საკმარისია, რათა მანდილოსანმა თავდაჯერებულად იგრძნოს თავი შვებულების დროს. ნიუ იორკელი ქირურგი პირობას დებს, რომ 2016 წლის ზაფხულისთვის მისი კლინიკა მსურველებს უკვე შესთავაზებს ამ უჩვეულო მომსახურებას. როუე ამჟამად სარძევე ჯირკვლების დროებითი გადიდების მეთოდზე მუშაობს, რომელსაც „შვებულების მკერდი“ უწოდა. მისი თქმით, კლიენტი სასურველი ზომის მკერდს სკალპელის გარეშე მიიღებს, სამიოდე კვირის შემდეგ კი ბიუსტი ჩვეულ ფორმას დაიბრუნებს — ეს დრო საკმარისია იმისთვის, რომ პლაჟზე დასვენებისას სუსტი სქესის წარმომადგენელს არასრულფასოვნების კომპლექსი არ აწუხებდეს პატარა ან ულამაზო მკერდის გამო. დოქტორი ნოუ-ჰაუს დეტალებს არ ამხელს, თუმცა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მეთოდის არსი სარძევე ჯირკვლის ქსოვილში ფიზიოლოგიური ხსნარის შეყვანას გულისხმობს სპეციალურ სტაბილიზატორთან ერთად, რომელიც ქსოვილის მიერ მის შეწოვას მნიშვნელოვნად შეამცირებს. გამომგონებელს არც მამაკაცები დავიწყებია და ამავე მეთოდით კუნთების დაყენებას სთავაზობს. ამჟამად როუეს კლინიკაში მეტად პოპულარულია მკერდის გადიდება 24 საათით — პროცედურისთვის სულ 20 წუთია საჭირო და 2 500-დან 3 500 დოლარამდე ღირს.

ქმარს სიცრუის დეტექტორზე ამოწმებს

31 წლის ბრიტანელი, ქალაქ შეპშედის მცხოვრები დები ვუდი ქვეყანაში ყველაზე ეჭვიან ქალად მიიჩნევა — იგი ყოველდღიურად საგულდაგულოდ ამოწმებს საკუთარი მეუღლის ტელეფონის ჩანაწერებს, თვალყურს ადევნებს მის საბანკო ოპერაციებს, საყვარელი ადამიანის კომპიუტერზე ფილტრს აყენებს და ყოველდღიურად სიცრუის დეტექტორზეც ამოწმებს. დების რჩეული სტივი საკმაოდ მშვიდი და გაწონასწორებული ადამიანია და ამბობს, რომ მიუხედავად ასეთი უცნაურობისა, უყვარს მეუღლე და უპრობლემოდ დართო მის ნივთებში ქექვის ნება. დების ავადმყოფობას „ოტელოს სინდრომი“ ჰქვია, რის შედეგადაც პაციენტი პათოლოგიურად ეჭვიანი ხდება, დაავადება ხშირად ალკოჰოლის ან ნარკოტიკების ჭარბი მოხმარების გამო ჩნდება.

ელექტროენერგია მთვარიდან

მსხვილი იაპონური სამშენებლო კომპანია Shimizu Corp პერსპექტიულ პროექტს ამუშავებს, რომლის განხორციელებაც კაცობრიობის წარმოდგენას ალტერნატიულ ენერგეტიკაზე მთლიანად შეცვლის. პროექტი ითვალისწინებს მთვარის ეკვატორის ირგვლივ, ე.წ. ენერგეტიკული სარტყლის შექმნას მზის პანელებისგან, რომელთა სიმძლავრეც რამდენიმე დიდი ქვეყნის ელექტროენერგიაზე მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდა. გეგმის მიხედვით, „სარტყლის“ ელექტროენერგიის გადმოცემა დედამიწაზე სპეციალური მიკროტალღური ან ლაზერული გადამცემებით მოხდება. მთვარის ასეთ ელექტროსადგურს, თეორიულად, შეუძლია წელიწადში 13 ათას ტერავატ ენერგიაზე მეტი აწარმოოს. შედარებისთვის — აშშ-ში 2011 წელს დაახლოებით 4 ათასი ტერავატი ელექტროენერგია გამოიმუშავეს. რთული არ იქნება იმის გამოთვლაც, რომ მზის პანელებიანი ასეთი სარტყელი, ყოველგვარი სირთულის გარეშე, მთელ კონტინენსაც მოამარაგებდა ენერგიით. მთვარეზე მზის ბატარეების ეფექტურობა რამდენიმე ასეულით მაღალია, ვიდრე დედამიწაზე იმის გამო, რომ ჩვენი პლანეტის თანამგზავრის ატმოსფერო გაცილებით გათხელებულია. გარდა ამისა, შუქის გზაზე არავითარი წინაღობა არ არის — მთვარეზე ცა სუფთა და უღრუბლოა. თუმცა, არის ერთი მინუსიც — პროექტის რეალიზება საკმაოდ ძვირი დაჯდება. საკმარისია წარმოვიდგინოთ, რამდენი კოსმოსური ექსპედიცია იქნება საჭირო მთვარეზე მზის პანელების განსათავსებლად, მაგრამ იაპონური კომპანია მაინც განაგრძობს მუშაობას და პროექტის დაწყების ვადაც კი დაასახელა — 2035 წელი.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲒᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

	2				4	6		9
			3	5		4	1	
						5	7	2
3		8	6					
			5		9			
					7	1		3
2	1	9						
	4	6		2	3			
7		5	4				2	

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

1	7		9	6				3
	5	9						7
		3	5	2				
	6				4			9
3			2				6	
				8	5	6		
5						9	3	
2				7	9		5	1

ᲠᲗᲣᲚᲘ

							2	
8	2	7				9		
		4			8	1		
6	4			7				
			2	8	5			
				4			5	3
		6	5			2		
		3				4	9	6
	7							

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	4				2			7
				7			3	6
	6		4			5		
	9				1			
	5	2		8		7	1	
			9				5	
		5			9		7	
3	8			2				
2			5				6	

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲭᲙᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐᲚ ᲘᲑᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ

ლონდონის სამეფო კოლეჯის სწავლულებმა, ჩატარებული კვლევების შემდეგ განაცხადეს, რომ ადამიანი ჭკვიანი დაბადებიდანაა, ხოლო რაც უფრო თხელ ფენად აქვს თავის ტვინში რუხი ნივთიერება, მით ნაკლებად ინტელექტუალია. დამტკიცებულია, რომ ეს მაჩვენებელი გენების კრებულითაა განპირობებული. ამიტომაც სწავლულები ამტკიცებენ, რომ ჭკუა არ არის შეძენილი ღირსება, ჭკვიანებად იბადებიან. ინგლისელმა სპეციალისტებმა მსოფლიოში პირველებმა შეისწავლეს ეს საკითხი და დაამტკიცეს, რომ ინტელექტს უშუალო კავშირი აქვს რუხ ნივთიერებასთან, უფრო სწორად, მის რაოდენობასთან. ვისაც ამ ნივთიერების მინიმალური რაოდენობა ჰქონდა, ტესტების ამოხსნა ძალიან უჭირდა, ყველაზე მარტივ დავალებაზეც კი პრობლემა ექმნებოდათ. თავიდან მკვლევარები 1000-მდე 14 წლის მოზარდს აკვირდებოდნენ და როცა გენი NPTN გამოავლინეს, კვლევა უკვე მღრღნელებზე განაგრძეს. ამ გენის სხვადასხვა ვარიაცია უშუალო გავლენას ახდენდა ტვინის უჯრედებს შორის კომუნიკაციაზე. სპეციალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ ამ კვლევის წყალობით შეიძლება განისაზღვროს, რა პროცესი მიმდინარეობს ინტელექტის დარღვევისას.

ᲙᲑᲘᲚᲔᲑᲘ ᲗᲕᲘᲗᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐᲡ ᲓᲐᲔᲥᲕᲔᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲑᲐ

ინდოეთის მედიცინის მეცნიერებათა ინსტიტუტის წარმომადგენლებმა სამსჯავროზე ახალი აღმდგენი ტექნიკა გამოიტანეს, რომლის წყალობითაც დაზიანებული კბილის მკურნალობა ტკივილისა და დიდი ფინანსური დანახარჯის გარეშეა შესაძლებელი. ტექნიკა SealBio-ის სახელითაა ცნობილი — ის პაციენტის ღეროვანი უჯრედებისა და ზრდის ფაქტორის გამოყენებას გულისხმობს, რაც აღარ საჭიროებს კბილის ღია არხების „დაცემენტებას“. ზოგჯერ ამ ძველი ტექნოლოგიის გამოყენებისას პრობლემები ჩნდება ბიოშეთავსებადობის მხრივ და ადამიანს გვერდითი მოვლენები აღენიშნება. ინდოელი სწავლულები გვთავაზობენ ღეროვანი უჯრედების სტიმულირებას, რომლებიც დაზიანებული კბილის ფესვებთანაა განლაგებული. რამდენიმე კვირის ან ზოგ შემთხვევაში, თვის განმავლობაში კბილის არხში საკმარისი ქსოვილი ჩნდება და არხი საბოლოოდ იკეტება. ახალი პროცედურა წარმატებით გამოსცადეს ათობით პაციენტზე. მეთოდიკა რომ უსაფრთხოა, ეს 4-5-წლიანი მუშაობის დროს უკვე დადასტურდა.

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲐᲡᲚᲘ ᲐᲘᲨᲔᲜᲐ

ერაყელმა მაგნატმა ამერიკული თეთრი სახლის ასლი ააგო და მის მშენებლობაზე დაახლოებით 20 მილიონი დოლარი დაიხარჯა. მილიონერი აღიარებს, რომ ამერიკული რეზიდენცია ყოველთვის იქცევდა მის ყურადღებას თავისი უბრალოებით და ძალიან მოსწონდა. ვაშინგტონური თეთრი სახლის „ორეული“ უფრო მდიდრულად რომ წარმოეჩინა, ერაყელმა მაგნატმა შენობის ბალუსტრადა და ჭერი ოთახებში იტალიური ოქროთი მოავარაყებინა, შესასვლელი კი საბერძნეთიდან ჩატანილი მარმარილოს სვეტებით შეამკო.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

5	2	1	8	7	4	6	3	9
6	9	7	3	5	2	4	1	8
4	8	3	1	9	6	5	7	2
3	7	8	6	4	1	2	9	5
1	6	2	5	3	9	8	4	7
9	5	4	2	8	7	1	6	3
2	1	9	7	6	5	3	8	4
8	4	6	9	2	3	7	5	1
7	3	5	4	1	8	9	2	6

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

1	7	2	9	6	8	5	4	3
6	5	9	4	1	3	8	2	7
8	4	3	5	2	7	1	9	6
7	6	5	8	3	4	2	1	9
4	2	1	7	9	6	3	8	5
3	9	8	2	5	1	7	6	4
9	3	4	1	8	5	6	7	2
5	1	7	6	4	2	9	3	8
2	8	6	3	7	9	4	5	1

ᲠᲗᲣᲚᲘ

1	5	9	4	6	7	3	2	8
8	2	7	1	5	3	9	6	4
3	6	4	9	2	8	1	7	5
6	4	5	3	7	9	8	1	2
7	3	1	2	8	5	6	4	9
2	9	8	6	4	1	7	5	3
9	1	6	5	3	4	2	8	7
5	8	3	7	1	2	4	9	6
4	7	2	8	9	6	5	3	1

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

5	4	1	3	6	2	9	8	7
9	2	8	1	7	5	4	3	6
7	6	3	4	9	8	5	2	1
8	9	7	2	5	1	6	4	3
4	5	2	6	8	3	7	1	9
1	3	6	9	4	7	8	5	2
6	1	5	8	3	9	2	7	4
3	8	4	7	2	6	1	9	5
2	7	9	5	1	4	3	6	8

მე-10 გვერდი: 1. ბრინჯაო; 2. რექტორი; 3. „ნათელა“; 4. აკმე; 5. კორტესი; 6. ოსტატი; 7. „ტაბულა“; 8. სოლი; 9. ექვთიმე; 10. რუსუდანი; 11. ინიესტა; 12. კანი; 13. შტაბელი; 14. იტონი; 15. ევენკები; 16. ბანკროტი; 17. ორლი; 18. „დდტ“; 19. ელიტა; 20. რუანდა; 21. სია; 22. ინდი; 23. საჰარა; 24. ლიტავრა; 25. უაილერი; 26. კონუნგი; 27. ატიმია; 28. ეტი; 29. „ილიადა“; 30. ინა; 31. სამურავი; 32. ტაიმი; 33. არნო; 34. სიდრი; 35. იკრა; 36. ფანტომასი; 37. კაი; 38. ალტი; 39. კიპუ; 40. რეი; 41. ფიალა; 42. იერო; 43. ნიაგარა; 44. პან; 45. ლოა; 46. ბლანკი; 47. „აიდა“; 48. მისია; 49. ეირი; 50. კომა; 51. დრო; 52. ბრედ; 53. მაისი; 54. არმაზი; 55. სილა; 56. რუკა; 57. რეა; 58. გრიგი; 59. ბზა; 60. იავა; 61. ბოი; 62. მაიკ; 63. კანა; 64. ამია.

მე-12 გვერდი: 1. მეტროლოგია; 2. ავრორა; 3. მექანიკა; 4. ტრემორი; 5. ოფისი; 6. ამნეზია; 7. რეგენერაცია; 8. „რენო“; 9. ოქტეტი; 10. ეშაფოტი; 11. ნარმანია; 12. ნაგანი; 13. ნეონი; 14. ფოიე; 15. არშია; 16. ზონა; 17. კაირო; 18. ეირე; 19. ელფი; 20. როდრიგესი; 21. იენი; 22. კროუ; 23. აურა; 24. ფაუ; 25. პუარო; 26. მტევანი; 27. ნიკოლ კიდმანი; 28. დარაია; 29. კოდაი; 30. ნოტიო; 31. აკმე; 32. ოკეი; 33. ცვარი; 34. აზანი; 35. ოქსინო; 36. ოტარიდი; 37. ტოფუ; 38. რა; 39. ტელი; 40. პუერარია; 41. რევიუ; 42. რაკია; 43. იაბო; 44. იაქი; 45. ტაეპი; 46. ოდიოზური; 47. სასკია; 48. სიგმა; 49. აკიდო; 50. სტეკა; 51. აპია; 52. „კია“; 53. ელია; 54. იანიჩარი; 55. ნესვი; 56. კენი; 57. ლუსონი; 58. აარონი; 59. ენოტი; 60. როდიკი; 61. ნემო; 62. იკაო; 63. იდიოტია; 64. უტევანი; 65. ტაო; 66. ვიტ; 67. იოტი; 68. ავარა; 69. აგუნა; 70. იდეა; 71. სევილია; 72. ნაი; 73. სიროკო; 74. საფირონი; 75. ომანი; 76. სელინ; 77. ლი; 78. მინი; 79. მზე; 80. ტოტია; 81. ალაო; 82. ასტამი; 83. ფილატელია; 84. ინი; 85. ონი; 86. იმპერიალი.



1. ზურგის ტვინის ნერვთა ფესვების ანთება
2. ... წყალში ყიყინებს
3. იგივეა, რაც შედეგი
4.მატყლის სქელი საპალტოე ქსოვილი
5.ჭადრაკის მფარველი ქალღმერთი
6.იაპონელი სამურაების ეთიკური კოდექსი
7. ორი უღელი ხარკამეჩი
8. მიხეილ ჯავახიშვილის „ლამბალო და ...“
9.მსაჯული „კავკასიურ ცარცის წრეში“
10. ხორციანი კორკოტი
11. დიდი ჯოხი
12. მურად ილდირიმის კინოროლი
13. ქალაქი თურქეთში
14. მისწრაფებათა უმაღლესი მიზანი
15.პირველი კოსმონავტი ძაღლი
16.რქოვანი გამონაზარდი მამალი ფრინველის ფეხზე
17. ხის ან ბუჩქის გამონაზარდი
18. ძველეგვიპტელთა წმინდა ფრინველი
19. კარგი ამინდი
20. კოლხეთის მითიური მეფე
21. ძაღლის ჯიში
22. ზევსის დედა
23.გრძელყელიანი გოგრის ჯიში
24.ადამიანის გამოსახულება მკერდამდე
25. გარეთ გამოშვერილი კბილი
26. კუტიურიე ... კარდენი
27. ხეჩოს გულის „ცენტრალნაია“
28. ლეგენდარული იტალიელი ავტოკონსტრუქტორი
29. ძველგერმანელთა უზენაესი ღმერთი
30.ამერიკაში გავრცელებული ხვლიკი
31. შოტლანდიური ნაგაზი
32. მოლდოვას ფულის ერთეული
33. „კოდაკის“ დამაარსებელი
34. თვითმკვლელობა
35. სპორტული ნაწარმის ფირმა
36. ვოლტერის ნამდვილი გვარი
37. სოფელი წალენჯიხის რაიონში
38. ანტილოპას სახეობა
39. ედმონ როსტანის პიესა „... დე ბერჟერაკი
40. ნაყინშერეული რძიანი ყავა
41. პეტრე ჩაიკოვსკის ოპერა
42. ემილ ზოლას რომანი
43. ბიბლიური პერსონაჟი
44. მდინარე რუსეთში
45. ძველრომაელთა სამოსი
46. მთიანი მხარე რუსეთში
47.დიდი ფორმატის სქელი წიგნი
48. ბელგიის ერთ-ერთი რეგიონი
49. ტელეკომპანია „კავკასიის“ ხელმძღვანელი
50. სოფელი თუშეთში
51. მილა იოვოვიჩის კინოროლი
52. ლეგენდარული ჩეხი ჰოკეისტი
53. დონ კიხოტის ნამდვილი გვარი
54. ბევრ ცხიმში შემწვარი კარტოფილი
55. რქებდახრილი ხარი
56. მტაცებელი თუთიყუში
57. ნეაპოლიტანური მაფია
58.ფრანგი კინოვარსკვლავი ... დელონი
59. ქართული საბავშვო ფილმი
60. ღვთისმშობლის დედა
61.თავის ტვინის „სათავესი“
62. მცენარეული საღებავი
64. რუსეთის ვალუტა
65. ზურგის ტვინის ანთება
66.საფრანგ. ეროვნული გმირი ჟანა ...
67. ვულკანი კუნძულ სიცილიაზე
68. კუნძული პარიზში
69. იტალიის საფეხბურთო კლუბი
70. იაპონელი მწერალი ... კობო
71. ჯუჯა კამეჩი
72. სალამურას მეგობარი გოგონა
73. ჯგუფ “2“-ს ლიდერი
74.აბესალომის მამა ფალიაშვილის ოპერაში
75. კავალერთან მოცეკვავე ქალი
76.ძველებ. ესპანური ოპერის ჟანრი
77.ბასკეთის ქვეყნის უდიდესი ქალაქი
78.მიმართვა ფრანგი ქალბატონისადმი
79. გერმანიის სამრეწველო რეგიონი
80. შეძახილი კავკასიურ ცეკვებში
81. ლეგენდარული მეკარე ... იაშინი
82. ებრაელთა პირველი მეფე
83.მსახიობი ... კრუზი
84.გამოუწვავი აგური
85. აგავას წვენიდან მომზადებული მაგარი ალკოჰოლური სასმელი
86.აღმოსავ. აფრიკის ძირძველი ხალხი
87. მსახიობი ... გრანტი
88. იგივეა, რაც ფერფლი
89. ალეგორიული მოთხრობა

ზედმეტი წონისგან ინგლისური საუზმე დაგიყავთ

ამერიკელმა სწავლულებმა მისურის უნივერსიტეტიდან დაადგინეს, რომ ტრადიციული ინგლისური საუზმე შესანიშნავი პროფილაქტიკაა სიმსუქნის წინააღმდეგ და შეუძლია, ეფექტურად შეეწინააღმდეგოს წონაში მატებას. სპეციალისტების თქმით, საუზმე, რომელიც ბეკონის, სოსისის, ლობიოსა და კვერცხისგან შედგება, მდიდარია ცილებით, ტვინში ზრდის დოპამინის (ჰორმონი, რომელიც მადას არეგულირებს და პასუხისმგებელია კარგ განწყობაზე) დონეს. იმ ადამიანებს, რომლებიც არ საუზმობენ, ტვინში დოპამინის დონე დაქვეითებული აქვთ, შიმშილის გრძნობა აწუხებთ და ბევრ საკვებს მიირთმევენ დღის განმავლობაში, დოპამინის ნაკლებობა რომ აინაზღაურონ და ხასიათიც გაიუმჯობესონ. შედეგად კი სახეზე გვაქვს ჭარბი წონა. კვლევისას სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ მოზარდები, ვინც არ საუზმობს, სიმსუქნისკენ არიან მიდრეკილნი, ინგლისური საუზმის მოყვარულები კი დღის განმავლობაში ნაკლებად ფიქრობდნენ საჭმელზე.

გაზეთი „ვერსია“ სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს. საკონტაქტო პირი მაია ფურცელაძე. ტელ: 599 62 88 77

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.